

ლიტერატურული განეთი

№9 (313) 13 - 26 მაისი 2022

გამოცემის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

მანანა ჩიტიშვილი

გამოცემის თემაზე

ნეკერჩელებს ახლა ფერი აქვთ სანთლის,
სიო ათრთოლებს ფერშეცვლილ ყუნწებს...
რა ლამაზია, უფალო, ქართლი,
შემოდგომა რომ კალთაზე უწევს.

დაეფინება ბილიკს ნელიად
ფოთლის ფერადი ფარდაგ-ხალები,
ალბათ თვით თამარს თუ მოელიან
პირმშვენიერი სეფექალებით.

მივყვებით თეძამს, ბორგვით რომ მიდის,
ფონს ვეძებთ, მაგრამ სადაა ფონი...
აქვეა თითქმის თამარის ხიდი
და კიდევ უფრო ახლოა რკონი.

რამდენი ფერი ქარვის და ლილის,
მზეც ოქროვანი, თაფლისფრად მდნარი,
როგორც მიჯნური ნაზი და ფრთხილი,
სეებს იმგვარად აშიშვლებს ქარი.

ახლოა უამი მთვარის ამოსვლის,
ვერ გვეთმობა და ვპრუნდებით გვიან...
და ვით მშვენიერ ქალთა სამოსი,
გზაზე ფერადი ფოთლები ყრია.

ლელა ცუცქირიძე

კარადა

დედასთან მივედი და არ დამხვდა.
ვეძებ და არ არის,
ვეძებ და არ არის.
ბოლოს კარადაც კი გამოვალე და
თურმე იქ არის.
— გამოდი, დედა, — ვთხოვ და
თეთრ კოფთაზე ვეფერები.
— გამოდი, დედა, — ვთხოვ და
მისივე მოქსოვილ ლურჯ შალზე ვეფერები,
ვეფერები მწვანე ჟაკეტზეც,
მინდვრის ყვავილებით მოჩითულ პერანგზეც...
— გამოდი, დედა, აქ რა გინდა, სივიწროვეა, —
ვთხოვ ისევ და მას კი ვითომ არ ესმის.
იქვე უდევს ჩანთაც —
ჩვენი ბავშვობის ფოტოებით,
ცხვირსახოცით, სუნამოთი, საბუთებით,
მამაჩემის გაჩერებული ჯიბის საათით,
ათასი წვრილმანითა და მოგონებით.
— გამოდი, დედა, — ვთხოვ მერამდენედ.
მაგრამ არ გამოდის. იქ ურჩევნია.
იქ, მამაჩემის საათზე, ისევ ძველი დროა,
რომელშიც ტკბებიან ერთმანეთით და
ყოველდღიური ბედნიერებით,
მოსიყვარულე ცოლ-ქმარი,
კარადის ერთ თაროზე დატეულები.

კატო ჭავახიშვილი

ნატვრა

მევნატრობ შიშს და ვნატრობ სირცხვილს და
ვნატრობ მანძილს.
და ყველა დროს და ყველა რიცხვს,
ეს — ხერხემლის მოხრა.
და ყველა მოხუცს, ვინც ცხოვრებას ნახევრად გაძლებს.
და ყველა ბავშვს — ვინც ცხოვრებამ ნახევრად ნახა.

მევნატრობ გზას და ვნატრობ დროს და ვნატრობ მერე.
და ვნატრობ მაშინ, როცა დროა. ან დრო არ არის.
და როცა გზისგან დაიცლები — ვერაფრით ვტკენენ.
და როცა გზაა დასაცლელი — იწყება ლამე.

და ვნატრობ დღეს, ან ვნატრობ ხვალ,
ან ნახევრად მოსულს
ვნატრობ მეგუშინ და მომავალს ნახევრად ვახელ.
ეს როცა დროა გასაწელი — შეკუმშვის ნაცვლად.
ეს როცა დროა შესაკუმში, ეს როცა მნახველს

ვერ იღებ სახლში, რადგან ნატრობ ყველაფრის ნაცვლად
და ყველას ნაცვლად, ვინც დაბერდა და
ნაცვლად — ვინც, ვერ.
მაგივრად მათ, ვინც გაცოცხლდა, ან დროში გაცვლა
და ნატრობ შიშს და ნატრობ სირცხვილს და ნატრობ.
მერე.

IV-V

VIII-IX

IX





მანანა ჩიტიშვილი

არც არაფერს აღარ ვამპობ

მინდოოს შევენის შროშნის ქაბო,
ყანას — ყაყაჩოთა სისხლი...
არც არაფერს აღარ ვამპობ,
არც სიყვარულს აღარ ვიხსნი.

განა თვალი, — ცრემლის ქოცო...
განა ბაგე, — ვარდის კბოდე...
იმნაირად არ მაკოცო,
ხვალ რომ კოცნა არ მინდოდეს.

ბრწყინავს თავფარავნის ტბები,
მთვარის შუქით მლვიარები,
რაც რომ მეტად მენატრები,
უფრო შორშორ ვიარები.

მაღლით ზეცა — ლურჯად შლილი,
დაბლა მინა — ყვავილო დასით
და ცხოვრება გათელილი,
ვით ნაბადი არსენასი.

ჟამო, ბევრჯერ დამამიწე,
კვლავაც გესლით მივსებ თასებს,
მუხრანს ზემოთ ქართლი მოწევს
ყელგამოჭრილ წიქარასებრ.

ხან თუ სიმწრით ბაგის კვერტა,
ხან მზე მიჩნდა ოქროს ზოდად,
ყოველ დროში მტერზე მეტად
ძმის ღალატის მეშინოდა.

მოვა დრო, რომ უფლის ნებით
დარდის გარდაქარდეს რიდე,
ტყე-ველს ჭრელი ყვავილები
შეპლებით შეაფრინდნენ.

მინა, სისხლით ნანალეკი,
ჯავრს რომ არ ირჩენდეს სხვისას,
ალეთს გამოზრდილი ლეპვი,
„ვადას ჩაფრენილი ხმლისა.“

„ვინა მალესე“

ზოგისთვის მოველ ქარ-წვიმად,
ვინ გაზაფხულებს მადრიდა,
ხან რომ მზე მადგა ბრალა,
ხან ხვავრიელად ბარდნიდა.
არც წმინდანობას ვჩემობდი,
არც მაცილს ვდევდი ადრიდან,
არც ის სტრიქონი მიყვარდა,
გულს რომ ვერ გამოილადრიდა.
ვერც ვინ იქრო-ვერცხლს მახარბა,
არც სტაგრა ვზომე ადლითა,
ვარ ერთი „ვინმე მელექს“,
ჩემი ცოდვით და მადლითა.

ვარდია

შემოდის ქართლში ხრიოკ გორებით
მტკვარი, მშფოთვარი და მოუცლელი,
აპა, ვარდია, „ქართლის ცხოვრების“
თითო ქვაბული — თითო ფურცელი.

ვაზის მრგველი, თუ ყანის მომკელი
მტერს თუმცა მტერზე ვეღარ ათვლიდა,
კვლავ იდგა ქართვლი — ლომის ბოკვერი,
გადმოგარდნილი უფლის კალთიდა.

დღემუდამ ჯიბრი გვექონდა მაცილთან,
არც სხივი ჩანდა ვარსკვლავ-შუქურთა,
მაგრამ როგორც კი ჟამი გვაცლიდა,
წიგნებს ვწერდით და ვჭრიდით ჩუქურთმას.

მაინც რანაირ ვარსკვლავზე ვიშვით,
ცა ბევრჯერ რისხვით გადაგვრაზია,
ეს ერთგულება ჯვრისა და ჯიშის
ცოფს ჰგვრიდა ისეც მძვინვარ აზიას.

ახლა, ვით ცრემლი, ქვის ნაკვეთ ქიმზე
მოცოცავს წვეთი ფერნამკრთალები
და ქვაბულიდან სიბნელე მიმზერს
ბატონიშვილი დემნას თვალებით.

ვანს იძით

თეთრი ცის თეთრო ყვავილო,
მთებს რომ მოავლე ჭალარა,
ლებაისარიც დათოვა,
რის არხოტი და ამღა რა.
აფიზოლებს მოვლემავ ჭიუხებს
ქარის ბუკი და ნაღარა,
საბადურს თითქოს ტყემლების
ყვავილმა გამოაყარა.
ჩემსას ვერც სევდას არგო რამ,
ვერც ჯავრის ჯაჭვი ამყარა,
ცალკერდ მომიდნო სურვილმა,
ცალკერდ ლოდინმა დამღალა,
შენს იქით ჩემი სიცოცხლე
გინდ იყოს, გინდა აღარა.

კრეანისთან

ვასთვის — მარადი და ვისთვის — ნამი,
რომ აღარ ახსოვს თითქოსდა მთა-ველს,
მე კი სიზმებში სუყველა ღამით
ისევ და ისევ კრნანისან მკლავენ.

ესათუთება წვიმების ნები
აპრილის ბალახს — ლბილს და ფოფინას,
მე ყოველ ღამით იმ მმში ვკვდები,
რმში, რომელიც არა ვყოფილვარ.

რა დამრჩა პოლოს

ტკივილი, ჩვენ რომ გვიჭირს ატანა,
სხვისთვის მოჩანდა ისე ადვილად,
არც მე არავინ არ მიფატმანა,
არც შენ არავინ გიავთანდილა.

ვიყავი მხოლოდ ღმერთის იმედად,
სენივით მჭირდა ჯავრი უხადი...
რა იშვიათად მძულდა ვინე და
როგორ იშვიათ ვინტეს ვუყვარდი.

და ღრუბლის კოშკებს, ოცნებით ნაგებს,
მინგრევდა ქარი — უნდო, უცები,
რა დამრჩა ბოლოს, მხურვალე ბაგეს
დანატრებული ცივი ტუჩები.

და სხივმიმერთალი იანერის ზეცა
არ ირევავდა ოქროვან ფერებს,
და უფლის ნებით მოსული ჩემთან
შენი სურვილით წახვედი მერე.

ჩამიდგა კვალში ქარების ქორო,
ვით ძმის მკვლელს სისხლის მძებნი ჩეჩენი,
მგონია, ახლა კი არა ვცხოვრობ,
უშენოდ ყოვნის სევდას ვერვევი.

თუმც ჟამი მნარე ყლუპებად შევსვი,
ბევრჯერ უფსკრულის ვიდექ კიდესთან,
და მაინც ვიცი, ხვალ ჩემი ლექსი
დროს ვეფხვის პნევლით დაეკიდება.

არა მრგებია ყოფნა მარტივი,
ელავს სარკმელი — ყინულის მინა,
და ულამაზეს ბრილიანტივით
ყელზე ცრემლების ფარლული ბრწყინვაც.

იმგვარად ნავავლი

ზღვისფერი ზეცა...
მთვარე — არგო...
ვარსკვლავთა რიყე...
ეს დღეც ბერდება,
სახეს მლავს
ბინდისფერ თავშლით...
როგორც დაფაზე
დიდი ხნის წინ დანერილ სიტყვებს,
სხვინიდან შენზე მოგონებებს
იმგარად წაგშლი.

როდი დავიჩნევ,
თუ ცრემლები სახეს მილტობენ,
გადავაბრლებ წვიმებსა და
ამინდს ქარიანს,
მივდივარ, მაგრამ
ამ გაზაფხულს შენ დაგიტოვებ,
აპრილები ხომ
ისეც ჩემი ნაწუქარია.

და რომ ყოველი
სამუდამოდ დასრულდეს ბარემ,
რომ გული ქველმა ტკივილებმა
ვეღარ გალაჭინ,
ვიდრე სულ წავალ,
გავიხურავ ვიდრემდე კარებს,
ყელდაგულ უნდა ნაკვერჩხალი
უნდა ჩავაქრო.

უცხო ვიყავი
და კვლავ უცხო ბილიკებს მივდევ,
ბევრია ამ გზით
ტკივილებით მავალი კენტად
დარაც ამ დღეებს
გამასენებს ოდესმე კიდევ,
გულდაგულ ვრაზავ
და სტრიქონთა
ბოქლომით ვკეტავ.

იცის პი ვინვა

იცის კი ვინმემ,
ვის, ანდა რა სურს,
თვალს თუ ამჩნევენ
ცრემლებით მთოველს?!
გველის ჭარივით
გავიხდი ნარსულს
და ამ დღეების
რიყეზე ვტოვებ.

შეარხევს დუმილს
წვეთების ჩქამი,
ვინ ვართ,
ან საით მივალთ აქედან?!
წუხელის
სიზმრად გხედავდი დამით
და, ღმერთო,
როგორ ადრე გათენდა.

* * *

კარგა ხანია,
რაც სიჩუმეს რეკავს ყურმილი
და ეს სიჩუმე
გულს იმგვარი ელდით დაუვლის...
მე ახლა ისე მეშინია შენი დუმილის,
მე ახლა ისე მენატრება შენი ხმაური...

თვლემს თებერვალი
და ამ ზეცის სევდიან ფერებს
ვერ იხდენს თვალი,
არც მზის შუქი ოთახს არ ამობს,
ვაითუ, მართლა მოგენატრო
დიდი ხნის მერე
და არაფერი აღარ გვქონდეს
სალაპარაკო.

ამ გაზაფხულზე

განა სულ მუდამ დარდი ვარ,
მზე რომ მოდგება ნებინებ,
კარნინ ენძელას დავიბამ,
დარდს ნიავს წავალებინებ.

ველს შვენის შროშნის არშია,
ზამთრის ქარები აოტეს...
მარტის წვიმები წამშლიან
სახეს დაწეულ ნაოჭებს.

ეს ზეცა მყავდეს თავდები,
მინა — მფეთქავი ვარდებად,
ხელახლა დავიბადები,
ხელახლა შემიყვარდება.

აღარ აყვავლე, ფეხალო

უნდა მარტს გადავემალო,
მზესაც, მინდვრებს რომ დამზერს,
აღარ აყვავლე, ტყემალო,
ჩემსკენ მომავალ გზაზე.

გაჰყევ, ვის მთვარე ებადვრის
შავბელ ღამეთა ზედა...
ველარც პატარძალს ვერ გადრი,
ველარც საჩემოდ გხედავ.

უამი თავისას ეცდება,
კვლავ ორლესულზე მაგებს,
სულ უცხო ბაგე ეწვდება
ჩემთვის სასურველ ბაგეს.

შემდორდა დროის დინება,
ბედს ვერ ვენდობი ვერაგს...
სხვა ხელი ეპოტინება
მოვის ქათქათა პერანგს.

უნდა მარტს გადავემალო,
მზესაც, მინდვრებს რომ დამზერს...
ნუ აყვავდები, ტყემალო,
ჩემსკენ მომავალ გზაზე.

დაზამთრებამდე

ისევ წარსულის ღველფთან ზიხარ და
კვლავ ძველი დარდი გთანგავს უხადი,
თუ ახლა არვინ არ შეგიყვარდა...
ახლა თუ არვის არ შეუყვარდი...

ჩავლილა უამი შენი შემფერება,
ლამებ ხმალივით მთვარე ალესა...
თუ ახლა არვის არ მიეფერე...
ახლა თუ არვინ მოგიალერსა...

რა დაუნდობლად გნენეს და გფერთხეს
წლებმა,
არ იყო ყოფნა მარტივი...
დაზამთრებამდე თუ კიდევ ერთხელ
არ ამოვავდა გული ვარდივით.

ბრუნავს დრო, როგორც უნდა ბრუნავდეს,
მთებზე გაშლილა თოვლის ზენარი...
შენი ცხოვრებას დასასრულმდე
თუ ერთ გაზაფხულს ვერ მოესარი.

მოდგება უამი ყინვის და სეტყვის,
დღეს მინაც ყვავილს სხვებისთვის იხდენს...
„თუ ახლა...“ —
და მეტს აღარას გეტყვი,
დანარჩენს უნდა თავისით მიხვდე.

ისევ წარსულის ღველფთან ზიხარ და
კვლავ ძველი ჯავრი გთანგავს უხადი,
თუ ახლა არვინ არ შეგიყვარდი...
თუ ახლა არვის არ შეუყვარდი...

თვალივის ნა. გიორგის ეკლესიასთან*

ჯავრისა მირგავ ეკალი,
ზედ ნართად დავიძახები,
დამიქალნულდნენ ყვავილი,
აპრილის ხელშენახები.
კალთას უკოცნის ნიავი,
მეტრფე, განა თუ თავხედი,
არაგვს გადაღმა გორია,
ანგელოზთ გადმოსახედი.
რა დავემდურო განგებას,
შენის ნებისად წახვედი,
ვერ მნახავს მაინც საწუთო
ცრემლით დაბზარულ სახეთი.
არას დავიჩნევ გარედან,
გულს შიგნით დავითალხები,
აღარც რა ახლოს მოგივალ,
არც შორით აგერძახები.
დაგლევ და მეც დავილევი,
თვალით არ დაგენახები,
თვალივს აუგალ შუშანსა,
მის ფეხთით დავიმარხები.

*გადმოცემის მიხედვით, ლაშა-გიორგისა და მის საყვარელ
ქალს, შუშანს, თვალივის ეკლესიაში საიდუმლოდ დაუწერია
ათ ჯვარი. ქალი ახალგაზრდა გარდაცვლილა და ამავე ეკლესი
ის უზოში დაუკრძალავა.

გაღურები

ვარ ამ ზამთრის და თოვლის შემყურე,
გული კი უცდის აპრილს ვნებიანს,
არას უშავებ თუმცა ბეღურებს,
ახლოს მივალ და აფრინდებიან.

ასეა ბედი ყოვლის მთარსავი, —
ვასკენ — ვარდი და ვისკენ — ლოდები...
რომ არ გაფრინდე ბეღურასავით,
შენც უკვე ვეღარ გიახლოვდები.

ლექსის ქალგატონი

რბიან ხან სინაწულად,
ხან — იდუმალ გოდებად,
ფლენი სამარტონი...
ვერცნობ, რანაირ მშორდება,
როგორ მიუცხოვდება
ლექსის ქალბატონი.

არვის არ ედარდება,
არც არაფერს შიშობენ
შფოთითა და ლელვით,
მხოლოდ ვხედავ, ჩამოსდის
ბეთონის ლვთისმშობელს
სიბრალულის ცრემლი.

თუნდ სძლვნა თვალი რჩეულნი,
ან სიმდიდრე სხვა სახის,
არ ეცვლება ნირი...
მხოთვის სულ ერთი არის
პალატები სასახლის
და სენაკი მწირის.

ბევრჯერ სცადეს და მის გულს
კარი ვერვინ უპოვა
და არც დღემდე არ ჩანს...
ხან მეფეზე უმეტეს
აჯილდოებს უპოვარს
და შარაგზის ყაჩალს.

უმთენარო ღამეში
ფიქრის ფთილა ვჩერებ და
ჩამოვხერენ ნართად...
ნეტა, მართლა სურდა, თუ
უნებლიერ შეჩერდა
ჩემი ქოხის კართან.

ვწერდი მისი წყალობით,
ვწერდი მისი კარნახით,
მისეული გეშით,

თუმცა ასეთ დროსაც კი
ტყავის მძიმე მათრახი
მოუწანდა ხელში.

ჩაგუბდება ტკივილად
თვალში ცრემლის ტბორები,
სხვისი არც რა მმართებს...
უერთგულეს პაჟივით
კრძალვით ვერამბორები
მისი კაბის კალთებს.

ვით შევკადრებ საყვედურს,
თუკი ჯავრმა ჩამჩუმქრა,
ნერომით, ანდა გესლით...
რა ხილვები მაჩვენა,
რა სამყარო მაჩუქა
უმშვენიერესი.

რბიან კვლავ სინაწულად,
ხან იდუმალ გოდებად
დრონი სამარტონი...
ვხედავ, როგორ მშორდება
როგორ მიუცხოვდება
ლექსის ქალბატონი.

რანაირ მოისლებოდა

ქსნის ლიბომოშლილ ციხეზე
ქარი გადარბის კინკილით,
ვერც ვმტრობ,
ვერც მამის საფლავზე
გადავლილ უცხოს მივკივი,
რანაირ მოიხდებოდა
ლელასნაირი სიკვდილი.

ჩუმ იცნებებში
წლები გავიდა,
შორით ტრფიალის
დავრჩით ხიზნები...
შენ შეიძულებ
ძილს იმ ღამიდან,
მე როცა
აღარ დაგესიზმრები.

შიომაღვიანის გზაზე

როცა თვალიდან ცრემლი მოლვივის,
ან გულში ისრად ჯავრი გამივლის,
რად მასენდება გზა შიომლვიმის
და უნაზესი თრიმლის ყვავილი.


სადაც არ უნდა ვიყო გონებით,
აქ მოვალ და მსწრაფლ გავინარსულებ...
თრიმლის ყვავილი პაეროვნებით
ჰეგავს ბაგრატოვნით ტურთა ასულებს.

გადაშლილია წიგნივით ქართლი,
ნანერი ხმლით და განგების ძალით,
აქ სიდონიას მაცხოვრის კვართით
სვეტიცხოველთან გალანდავს თვალი.

მოჩანს სამთავრო, ვით უფლის კრავი,
გულბათზე ჯვრით და ღვთაებრივ მზერით,
გალავნის გარეთ მაყვალი ყვავის
უფლის ხელთუქმნელ პერანგის ფერი.

ინახავს სახეს, ლოცვით ნამერთალებს,
ეს ცა, ნახატი ვარსკვლავთ მთიებით,
კაპადოკიელ ქალწულის თვალებს
ვინ დაამგვანა ლურჯი იები.

ზედაზნის შხრიდან ამოდის მთვარე,
ანათებს სარკმელს, დარჩენილს ღამად
და მცხეთის ცაზე გადავლილ ქარებს



შურნალი „დედამიწა“, სადაც გამოცდილი უურნალისტის ვაკანსია გამოცხადდა, თავისი უფლების მოედანზე — უფრო სწორად, ლეონიძის ქუჩაზე. როგორ ამბობს გოგლი? „ყორლანებიდან გნოლი აფრინდა...“ ყორლანებიდან არა და, გლდანიდან კი მოვდივარ და ფრენის რა გითხრათ — მეტროთი. როგორი გნოლი ვარ, არ ვიცი. ერთხელ, სანამ სახე მიჩანდა — კოვიდამდე ანუ — კი მომაძახა ქუჩაში ვიღაც ჭალარა ინდივიდმა, ოლონდ არა ჰომო საპიენსთა ჯაფუფიდან, აშკარად უნაოჭო და უზიჭო ტვინით, რა გნოლივით გოგოა! ეგონა, შევარჩენდი?! უთხარი კეისარს კეისრისა და მანიაკს მანიაკისა! ვუთხარი კიდეც: ბაბუ, გნოლის ძვალი ყელში არ გაგეჩხიროს-მეთქი და გაშრა, კრინტი არ დაუძრავს. როგორ არის „შერევეილებში?“ „ხმა, კრინტი!“ — ზუსტად ასე. საერთოდ, არ მიყვარს მეტრო, მაგრამ პრაქტიკულია და ცოტათი რომანტიკულიც — ხარ მინის ქვეშ, მაგრამ — ცოცხალი და მოძრაობ, „დუდუნ, დუდუნ...“ — ვაგონი მიგარჩება. გალაკტიონი რომ მეჯდეს გვერდით, მეტყოდა: „ახლა იწყება ნიფის გვირაბი, თქვენ ხო არაფრის შეგეშინდებათ?“ ნიფის არა, მაგრამ აქ სულ გვირაბებია და, მოდი და, ნუ შეგეშინდება, თან ირგვლივ ყველა ნიღბებით. თავის საშინელებათა ფილმში გეგონება. მოიხსნი ნიღაბს — შეიძლება, ჩაგქოლონ, თან უქვოდ! ვაგონის კედლებზე რეკლამებს ვაკევირდები: „როდესაც ტკივილი გესხმის თავს — დამიძახე!“ რა დაგიძახო, დეგენერატო, იქნებ არ მაქვს ყვირილის თავი? თან ხო ყველაფერი თავს გესხმის: ოკუპანტები, მანიაკი ბაბუები, ტკივილი, კოვიდი — ეს ნამალი თუ გიშველის, კარგია. რეკლამა ფულია, ბაბა — „ფული ბაბა.“ ეს კიკუ საიდან გამახსენდა და ისევ სექსუალური მანიაკები?! ჰაერზე რომ ავალ და ნიღაბს მოვიხსნი, მელავზე სამჯერ უნდა ვიპნეკინო.

* * *

- თქვენ საიდან მოდიხართ?
- გლდანიდან.
- ეს გასაგებია, იდეურად საიდან მოდიხართ?

რედაქტორთან გზიგარ. ასეთი რამ მხ-
ოლოდ უცხოურ ფილმებში მინახავს —
დიდი დარბაზი დაბალი გამჭვირვალე ტი-
ხრებით პატარ-პატარ ოთახებად არის და-
ყოფილი ისე, რომ ყველა ერთმანეთს ხე-
დავს, აღბათ ცოტა ესმით კიდეც ერთმა-
ნეთის. რედაქტორი ათას სისულელეზე მე-
საუბრება — რატომ გადაწყვიტე ჟურნა-
ლისტობა, რომელი უნივერსიტეტი დავა-
მთავრე, ლექტორები ვინ იყენენ, რა საგვე-
ბს გავდიოდი. ის ქალბატონი, სულ კისიკი
სით რომ გამომლანძლა, მდივანი აღმოჩნ-
და. ისიც იქვე ზის, ცოტა მოშორებით. ახ-
ლა ფრჩხილებზე ლაქს ისვამს, თან სიმღე-
რას ღილინებს — „გააჩერეთ დედამინა,
ჩავდგვარ“. დროდადრო კომპიუტერში რა-
ღაცებს ათვალიერებს. ხან სიძლერას შეწ-
ყვეტს და უკვე ხუთჯერ თქვა, მგონი, ესა-
კრეტინებით, თან კისკისით — ანუ, გამოდ-
ის, მაშინ მე კი არა, ვიღაცას ინტერნეტში
ლანძღვადა. ყველაფერს ერთად როგორ
ასწრებს? კიდევ კარგი, მაშინ ის სიტყვა ვერ
მოვიფიქრე — კრეტინზე მილიონჯერ უ-

დი. რედაქტორი ანკეპილ ულვაშებიანი
ტიპია. თავზე ანტიკოვიდური ჰოკეისტების
ჩაფეხური აფარია. მდივანიც და დარბა-
ზში ვინც ზის უმეტესობა ასეა, ანუ კოვიდი
ჰოკეის გვეთამაშება. ზოგი ჩემსავით ნიღ-
ბითაა. ამ რედაქტორს მაგიდაზე გლობუ-
სი უდევს, რომელსაც დროდადრო ატრია-
ლებს და ისე აჩერებს, რომ საქართველო
ჩემ წინ იყოს. თავი რატომლაც საბა მეგ-
ნია, ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან თხ-
ოვნით მისული. იმედია, არ ინახებს ჩემ მის-
ვლას. ცოტა ვურევ, რომელი საბა მე ვარ,
ან ეს რედაქტორი რომელი მეცე-მზედ წო-
დებული ლუი მეთოთხმეტეა, სახელმწიფო
მე ვარო, რომ იძახდა. თუმცა ეს ტიპი ყვე-
ლა საქციილით ამბობს, ეს უურნალი მე
ვარო, ანუ მთელი დედამინა ჰყონია თავი!
ისევ გლობუსს ატრიალებს. შავ ზღვას
ვაკვირდები, ნეტა როგორი ამინდებია ახ-

ლევან ლორია

ქვის ყველი

ლა ბათუმში. მთელი აგვისტო წვიმდა და სექტემბერიც გადაება. კოვიდის საშიშროება თითქოს მინელდა, მაგრამ ზღვაზე ვერ გავდიოდი წვიმების გამო. რა დროს ზღვა არის, რაღაც ჭკვიანური უნდა ვუთხრა, თორებ ფაფუ სამუშაო! რომ ვუთხრა, დიდი აფეთქებიდან მოვდივარ და იგივე ატომებია ახლა ჩემში-მეთქი, ბებერი, გამოუსწორებელი იდეალისტი ვეგონები და ასეთი ჟურნალისტი არავის ანყობს. კონსერვატორი ვარ-მეთქი, ვეტყვი და იქნებადა ლიბერალია ან პირიქით. მეც ვარ რა! გადამეშალა ამ „დედამიწის“ ერთი ნომერი, ერთი გვერდი, ხო უცებ მივხდებოდი ამათ ავანჩავანსა და ინილო-ბინილო? ვერაფერს ვფიქრობ, ან როგორ ვიფიქრო, ამ ტიპმა გააჩეროს ეს გლობუსი ან ის მომლერალი მდივანი თუ ჩადის, ჩავიდეს — თავბრუდამეზა უკვე, ანუ მართლა ტრიალებს დედამიწა, ამიტომ დაწვეს საწყალი ჯორდანო ბრუნო, არადა კოპერნიკმა თქვა, ბრუნავსო. ლამის მეც შევახო, გააჩერე დედამიწა, ჩავდივარ-მეთქი, მერე მოვკიდო ხელი და მდივანთან ერთად ჩავიდე. ვერაფერი მოვიფიქრე და ალბათ ყველაზე დებილური პასუხი გავეცი:

— და თქვენის უურნალს საიდან აწყობს,
რომ ვიყო?

გაეღიძასავით. მგონი, პასუხი მოეწონა.
მერე კმაყოფილმა ირგვლივ მიმოატარა
მზერა, ვინმე თუ გვისმენსო ალბათ, თუ რა
ვიცი, რატო. ვინც დარბაზშია, ყველა კო-
მიულურშია შემძვრალი და თითებს აკა-
კუნებერგ საქმიანი იერით. რედაქტორმა მა-
გიდის კალენდარს ჩახედა, მერე ჭერს ახე-
და. „და... და..“ — თქვა და მარჯვენა ხელ-
ის ოთხი თითოთ მაგიდაზე თითების კაუ-
ნი დაიწყო. კაუნის რომ მოირჩა, ორივე ხელ-
ის ათივე თითო მაგიდაზე დაალაგა. ვთიქ-
რობ, ახლა ალბათ მაგიდაზე ხორუმს დაუკ-
რავს. თანამშრომლები, ზოგი ჩაფუტით,
ზოგი ნილბით, ადგებან და მაგიდებს შორ-
ის ხორუმს ჩამოუვლიან. წინ რედაქტორი
დადგება დიდი კალმით, არა — სჯობს, ზუ-
რგზე ბატის დიდი ფრთით, სულ უკან კი
მოკისკეს მდირვანი ხელში გლობუსით და

ლაქით. მაგარი პერფორმანსი იქნებოდა. მოიცა, ერთი ჩასწორება — თუ რედაქტორი იცეკვებს, ვინ დაუკრავს? გამოდის, მე უნდა დავუკრა, როგორ არის მელოდია? ფიქრებში გართულმა მაგიდაზე კინაღაძე ხორუმი შემოკლება... 6

— სამთვაინი საცდელი ვადით მიგიღებ-
თ! ყველაფერი თქვენზეა, როგორ რეპო-
რტაჟებს მოამზადებთ, ჩვენ ფერისზე გვერ-
დი გვაქვს — ვნახოთ რამდენი მოწოდება
ექნება თქვენს სტატიებს! — მეუბნება უც-
ებ.

მის სიტყვაში „მიგიღებთ“ მომენთა, ეს „საცდელი“ კი — ნაკლებად. რა, კურდლელი ვარ? ან მთლად უარესი, ვირთხა? „ვა, ჰათი, მომ!“ რას პატონობს ის ეს ერთი?

— და... ხელფასი არაა ძთავარი!
სან-მი-ა-ა-რძელებო-მონოლო-ე!

— საად გააგრძელებიდა თოთოლოგის, დავ-
ასწარი. კბილები ენაზე უკვე ამვებული მა-
ქსეს.
— მახსოვა მუშანის, სიტყვაბი... — ვოდე

— კონტაქტურის თეორიები... — ციტიკი
და უკვე ვრანობ. ვინდებ გამაჩერერთ რა! კი-
დე ენაზე რომ ვიკბინო, ხო საერთოდ უენ-
ოდ დავრჩი და მერე როგორ ვილაპარა-
კო? ახლა ალბათ მეტყვის, ხელფასი გექნ-
ება ზეგა...
— აკა აკა აკა აკა შე შე

— ალბათ უნდა იყოს გაცემდებისა, ეწ-
იდასი ლარია. ვიცი, ბევრი არ არის, მაგრამ
სტატიებიდან გამომდინარე ვნახოთ —
ჩვენთან ბონუსიცაა, პრემიებიც!

ანუ ერთი შეკითანი ამიხდა. ახლა ერთი

“იიეს” დაძახება და ხელების ისე გაკეთება, თითქოს ზედ ჭიპის თავზე ვურტყამდეჩემს უიღბლობას, ცხენსაც მირჩევნია და მთელ სამეფოსაც. არ მითქვამს ხო, მეშვიდე ორგანიზაციაში რომ ვარ გასაუბრებაზე? თან შემრცხვა! ბოლომდე მაინც წამეკითხა ის განცხადება, ხელფასს საერთოდ არ მივაქციო ყურადღება, მაშინვე ტელეფონს ვეც! ღმერთო, მესროლე რამე: ატყოფური ბომბი არ მინდა, როგორც ვიცი, საკმაოდ ძვირია, არ ვისისახურებ. ერთი ისეთი ასტეროიდი დამხატვადა, ორასი მილიონი წლის წინ დინოზაურები რომ გადააშენა, მაგრამ მაგას როდემდე ველოდო. არც ტაბურეტკას გთხოვ, ერთი სამფეხა სკამი მრეცვე თავში!

— ახლა საქმე! სკოლაზე მინდა, რეპორტაჟი მოაზრადო, დაწერ სკოლაზე. კარტბლანში გექნება... კარტ-ბლანში ხო იცი, რა არის?

მეკითხება, თან მესიჯს კითხულობს.
ახლახან „წყაპ“ — ასეთი ხმა გაადინა
მისმა ტელეფონმა. კარტ ბლანში ვიცი, ცა-
რიელი ბლანკია, სადაც ჩაწერ, რა თანხა
გინდა, თუნდაც მიღიონი, მაგრამ ეს ვარი-
ანტი გამოვრიცხოთ — ხელფასი ჩაწერი-
ლია უკვე. ხო კიდევ, პოლონური ფილმია
სკოლის მასნავლებელზე, რომელიც ბრძა-
ვდება. ისე უყურებს სამყაროს, თითქოს
კარის ჭორულობანით დაქმრიგბოლის

- ანუ ვნერ მასნავლებლებისთვის და სრული თავისუფლება მექნება.
- სრული თავისუფლება არია ახორ

მდიდვანთან მიღი — სამოგანი კონტრაქტს
გააფორმებ და მერე უკვე პირველ სტატი-
აზეც გავისაუბროთ! — თქვა, თან კიდევ
ერთი „წევა“ — ვიღდაცას მობილურიდან
მესიჯს უგზავნის, ანუ ვიღაცას ეწაპანუ-
პიტა.

ისევ იმ მოკისკისე მდივანთან მივედი. აბა, როგორ არის საქმეო, თან პომადას ის ვამს. კონტრაქტზე ხელის მოსაწერად გამომისჭა-მეთქი. რედაქტორს გახედა. იმან ხელით რაღაც ანიშნა. გარე ბიძაშვილი ხარ? ისევ მე მომიძრუნდა და მეყითხება. არა, პირველად უხედავ-მეთქი. აბა, რა ბზიქმა უკინა, ისეთი გოგოშვები დაინუნა, მზესა და მთვარეს იქეთ რომ წუნიბდნენო. იმას ხომ არ ვეტყოფნი, ჰკითხე ჩემს სარკეს და ის დაგემონება, რომ ყველაზე ლამაზი და ჭკვიანი მე ვარ-მეთქი. მორიდებით, ცეკვა აჭარულის პარტიაში ილეთი რომ არის, მხრების აჩეჩვა, ზუსტად ისე ავიჩეჩე მხრები. უცემ რედაქტორის ხმა მესმის.

ლელა ცუცქირიძე

სიყვარული პუბლიკი

„ალბათ ესაა ჯოჯოხეთი“, — გაიფიქრა მოხუცმა ქალმა, ბერე სარდაფში ყოფნის 35-ე დღეს ჯარისკაცებმა კარი რომ გაუდეს და უთხრეს: — ამოდი. და ისიც ამოვიდა ცოცხალ-მცვდარი და ჭურვებისგან ჯოჯოხეთადქცეულ ქუჩაზე, სხვა ცხედრებს შორის, მოხუცი ქმრის ცხედარს დაუწყო ძებნა. მოხუცმა ქმარმა ერთი თვის წინ დილით ნაზად აკოცა ცოლს, მერე კარი გაიხურა, პურზე წავიდა. ქალი კი იდგა გაზეურასთან, რძეს ადუდებდა და ფიქრობდა: „აი, მთავრდება ცხოვრება და ის კი, ჩეგნი სიყვარული, ყოველ დილით თავიდან იწყება — რძის ადუდებით და ახალი ცხელი პურის მოტანით“. მაგრამ იმ დღეს მოხუცი ქმარი არ დაპრუნდა. რძე გადმოვიდა.

„ალბათ ესაა აღდგომა“, — გაიფიქრა მერე მოხუცმა ქალმა, როცა მოხუცი ქმარი დაინახა, ერთი თვის წინ პურზე წასული. მას პურის რიგში ტყვია მოხვდა, თუმცა გადარჩა და იქვე, სარდაფში, შეიფარეს, რომლის კარიც ახლა გახსნეს ჯარისკაცებმა.

„ალბათ ესაა სიყვარული“, — გაიფიქრა მოხუცმა ქალმა, როცა მოხუცმა ქმარმა პური გაუწოდა.

პური იყო ძველი, ერთი თვის წინანდელი, გამომხმარი, ლოდადქცეული, მაგრამ ახალი რძის სურნელი ასდიოდა.

ახალი რუკა

გვითხრეს, რომ დღეიდან გაკვეთილები სკოლის გარეთ ჩაგიტარდება, ხოლო საგანს, რომელიც დაგვემატა, ჰქვია თავდაცვა. ჩეგნ უნდა შევძლოთ და დავიცვათ თავი ცისგან, საიდანაც გაზაფხულზე ჩიტების ნაცვლად ჭურვები მოფრინავენ ცივი ქვეყნიდან და ხებზე კვირტების ნაცვლად ფეთქდებიან. — აი, რუკა, ახალი რუკა, — გვითხრა ჩეგნმა მასწავლებელმა, — დააკვირდით, ამ რუკაზე სხვა ნიშნებია: პატარა კვადრატება სახლების ნაცვლად ახალგათხრილ საფლავებს ნიშნავს, დიდი კვადრატები კვარტლების ნაცვლად — ახლადგაჩინილ სასაფლაოებს, გზაჯვარედინი — დახოცილ ცოლ-ქმარს, ზებრა ხაზები — მიჯრით დახვრეტილ მშენებიან მოსახლეობას, შუქნიშები — სისხლს ბალაზზე, ჯვრები, რომელიც ქალაქის პარკში ატრაქციონებს აღნიშნავდა, ახლა საფლავის ჯვრებს აღნიშნავს, ნაწერა თეატრის წინ — „ДЕТИ“ — გაფრთხილებთ, რომ მიახლოება სასიკვდილოა!

თქვენ უნდა შეძლოთ გზის გაგნება ახლა ამ რუკით ოდესლაც ნაცნობ და საყვარელ, დღეს კი სრულიად უცხო ქალაქში.

სადაც ვერაფერს ვეღარ იცნობთ:

ვერც სახლს, ვერც სკოლას, საბავშვო ბალს, ვერც სხვა შენობებს. ისინი აღარ არსებობს.

არსებობს მხოლოდ მათი შეცვლილი ფირნიშები.

ისინი ყველაგან ერთნაირია:

მკვდრების ქუჩა, მკვდრების კვარტალი, მკვდრების გამზირი...

უნდა იაროთ შეუმწევლად,

ჩრდილის გარეშე,

უნდა იაროთ სწრაფად, უკანმოუხედავად,

უნდა იპოვოთ ძეველი ქალაქი,

სანაპიროზე თოლიასავთ მოლივლივი,

რომელიც ახლა სარდაფშია და გელოდებათ.

უნდა იპოვოთ ეს სარდაფი აუცილებლად!

უნდა იპოვოთ ეს სარდაფი აუცილებლად!

უნდა ჩახვიდეთ ამ სარდაფში აუცილებლად!

უნდა ჩახვიდეთ, რომ გადარჩეთ!

რომ გადარჩეთ და თქვენი გადარჩენით

გადაგვარჩინოთ ჩეგნ — ახალი მკვდრები.

ტელესკოპი

ბატარა ბიჭი წყალს გადაურჩა, მინამდე თევზებმა გაცილებს, ვეღარ მოერია მჩატე სხეულს — წყლისგან და შიშისგან განაციებს.

დაწვა და მინდორი დაიფარა, დაწვა და მინდორი დაწვა და დაიფარა დაწვა და მინდორი დაიფარა.

იქ დახვდნენ სხვა ბავშვები სხვა იმიდან. ბავშვები სათამაშო ჟირაფებით, ბავშვები დამტკრეულ თოვენებით, ბავშვები ბოლიანი პიუამებით, ბავშვები ყურმძვრალი პატიებით, ბავშვები ცალთვალა დათუჩებით... ბავშვები სხვადასხვა იმებიდან წლების და ქვეყნების განურჩევლად.

და როცა ამოდის, მინდორს არღვევს ყავილი, გვირგინს შლის გასაოცარს, ეს არის ბავშვების ტელესკოპი, ახალი სამყაროს გასაცნობად.

ხედვენ, სხვანაირი კოსმოსია, ბაბუანვერების პლანეტებით, ცვრის წვეთ მფრინავი ხომალდია. ნამცეცა უცხოპლანეტელით. მოჩანს გუდაფუტას ნისლეული, მოჩანს სოკოების კოსმოდრომიც, უფრო შორს — ციცინათელების ციმციმა თანავარსკვლავედი.

მერე კუდიანი ვარსკვლავივით ბავშვების ფიქრებიდან წყდება ნატვრა, ესმოდეთ თუნდ შორიდან მამის ხმა, დედს იავნანა....

და როგორც კოსმიური მისტერია, როგორც იდუმალი მისტერია, ბალასის ანტენები შეირხევა, ბალასის ანტენები ირხევიან.

1. ხალიჩის ქსოვას უყვარს ფიქრი. მასზე ამჟღავნება ვერგამხელილი იცნებების ნეგატივებს, როგორც ჩატემას, როგორც შელოცვას, რომ იქნებ ერთხელ, თუნდაც ერთხელ, თუნდაც ოდესმე ახდეს, აცხადდეს. აი, ჯიქი, მოიპარება ლურჯი დამის ლურჯი სიზმრიდან, სხეული სახე მთვარესავით განათებია, ხალები უთროთის ვარსკვლავებივით. ალბათ ასეთი უნდა იყოს სიყვარული — ელვარე, ფრთხილი, ცახცახით სავსე.

აი, ირემი, ეს წუთია, ნაქსოვი ტყიდან გამოვარდა, მინას ფხვნის და ნისლის ორთქლს უშვებს. ალბათ ასეთი უნდა იყოს შეყრდნილი მშენებილი მყვირალობით. აი, მინდვრის ყვავილების შეკრული რკალი — ათასი ფერის ურიანული. ალბათ ასეთი უნდა იყოს ბედნიერება — სახლის გარშემო მოფერხულე ბაგშებით საგსე. აი, ჩიტები, აი, ხები, აი, გზები, მთები, მდინარე...

2. დასხდნენ ქალები, გადაინიერ ბურკა სახიდან, აინთეს პატრუქჩანეული ლამპა — თვალები, გაანათეს ბნელი ოთახი — ზუსტი ასლი მათი ცხოვრების, სადაც სარკმლიდან ვერასოდეს ვერ აღწევს შუქი, მხოლოდ ოცნების აჩრდილები თუდა ხორლავენ. დასხდნენ ქალები და რომ ეგონათ,

ტრადიციულად ჩაუთქვამდნენ ფერად ძაფებს ვერგამხელილ, ასახდნებან ამბებს, ხალიჩებზე გამჟღავნებდნენ აყვაველებულ მცენარეებს — სიყვარულით სავსე ოთახში გახარებულს, მითიურ ჩიტებს — ბურკას დამტკრეულ გისოსებიდან გაფრენილ თვალებს, ხებს — შერალ კლდებზე ამოსულს წყვილად, ფოთოლს — ვნებან, იღუმალ სიზმრის... სულ სხვა ამბავი ჩამოქსოვეს მათმა თითებმა — ამბავი შიშის და ყვირილის, ამბავი ომის.



3. — რა ღირს ხალიჩა? ათასი ფუნტი? რუბლი? დოლარი? ყველაფერს ვიხდი! კარგად საღდება ავღანური იმის ხალიჩა უჩვეული ორნამენტებით — ჭურვით, ნამედებით თუ სამხედრო თვითმფრინავებით, კალაშნიკოვით, ტანკით, ვერტმფრენით... ვყიდულობ, ლონდნი სხვაც მოქსოვეთ, რაღაც ისეთი, უფრო ახალი, უფრო მაფრი კადრებით სავსე, ვთქვათ, სისხლის გუბე და ქუჩებში დახვრეტილი მოსახლეობა...

4. კადრი 25. (20 აგვისტი. 2021 წ.) ბოლო სამხედრო თვითმფრინავები ასულ მგ ზავრებს მშობლები შვილებს აჩერებენ და განწირულად ეხვეწებიან: „ჩეგნ თუ ვერა, ესენი მაინც ნაიყვანეთ! ესენი მაინც!“

5. ფერქავს ხალიჩა, იმის ხალიჩა, როგორც გული უპატრონოდ დარჩენილი პატარა ბაგვის, შვილმკვდარი დედის, ქმარმკვდარი ქალის, შეყვარებულის... ფერქავს ხალიჩა. შენელებული მოქმედების ნაქსოვი ნაღმის დრო ჩართულია.

ვოლობება

ნუგ ზარ ზაზანაშვილს

ფოტოხაფანგმა

თუშეთის მთებში ჩეგნთან გამქრალი

ლეოპარდი დააფიქსირა.

გროვა როგორც გული

უკანასკნელი გამქრალი

და რა ლამაზია,
როცა ფურცლებზე
ნითელი ჩიტების გადაფრენას ხედავ.

ქრება ყველა ამერიკალავი ნიშანი და მიმართულება
და რჩება ასეთი სიყვარული —
თავდაკარგული, ნითელჩიტებჩაბუდებული.

მარო მაყაჭვილს, მოწყალების დეპს

მე იმ პატარა გოგოს ვყვარობ,
ტაბახმელაში რომ ჩიტებად უსტვენს,
ტაბახმელაში რომ ონავარობს
უბრალოდ, თავისთვის, შუმჩნევლად,
მე იმ პატარა გოგოს ვყვარობ,
მაროს.

თებერვალი დადგომ და
ნავიდნენ ქალაქებარეთ გოგოები.

განა იქის დასაკრეფად,
ან ენძელების უენებისთვის,
ან განა ხარისხვალებისთვის,
რომლებიც ტაბახმელის და კოჯორის
მინდვრებს აჩნდებოდნენ წინებივით,
ნავიდნენ ქალაქებარეთ გოგოები,
თეთრი ხალათებით, ნითელი ჯვრით.
ნავიდნენ ქალაქებარეთ გოგოები.
თეთრი ხალათებით, ნითელი ჯვრით,
ამ მინის, ამ ცის და მეგობრების
და შეყვარებული იუნკრების
ისეთი, ისეთი სიყვარულით,
გულები — ლამის ცას მიბჯენილი.

ცივინივამიუკარებლები
და ხელისგულებზე გაზრდილები
თითქოს მიდიოდნენ აგარაჟზე
ქალალდის ფლირტის სათამაშოდ,
ფლირტს ერქვა ალბათ ყვავილნარი,
ბიჭები და წანებზდნენ პირველები:
— ომია, ნუ მოხვალო, ძვირფსებო,
ომია უსაზღვრო, უნაპირო. —
გოგოებს ექნებოდთ პასუხები:
— ომია და თქვენთან უნდა ვიყოთ.
თებერვალი დადგომ და
ხეებში წყალი არ ჩამდგარა,
ხეებზე სისხლის წვეტებია.
ცაა და მინაა და არცაა,
მინაა და ცაა და არცა ჩანა,
რაც იყო ლამაზი, თუ გადარჩა,
ვინც იყო ლამაზი, თუ გადარჩა...
ალბათ რა მძიმეა, უყურებდე
სულებს — წეროებად გადაქცეულს,
სულებს წეროებად გადაქცეულს
და დიდ გაზაფხულებს აცდენილებს.
და რა მსუბუქია გადაფრენა,
როცა გოგოები გაცილებენ
თეთრი ხალათებით, ნითელი ჯვრით
და თავგანწირული სიყვარულით.

დეკორატორი

შეიძლება გამოიყვანო ახალი ჯიშის ორქიდეა,
ჯუჯა, მაგრამ უცნაური არქიტექტურით,
ვთქვათ, მამსაცავსო ბავშვების სახლს
და სწორედ იმ ფანჯრის რაფაზე დადგა,
რომლის იქითაც შენი დიდი ხნის უნახავი მეგობარი
სუიციდის მაკამებს, იქსოვს,
რომ მის ყულფში ქოთანივით ჩაიდგას თავი.
მიატოვებს მაკრამეს ქსოვას,
მარტობიდან ორქიდეაში შემოაბიჯებს,
ჩაგეხუტება.

შეიძლება გამოიყვანო ახალი ჯიშის ჯუჯა ვარდი,
აჩუქო დედას და გაახარო,
შემოდგამს ისიც ფანჯრის რაფაზე,
როგორც შუქურას,
რომ მერე, როცა დაივიზება, რომ დედა გყავს და
ყველა გრძელი და განედი ერთმანეთში აგეხლართება,
ნიშანი მოგცეს, რომ მანამდე არ ჩაქრება,
სანამ სახლამდე არ მიაღწევ
და მისხელებში, როგორც ჰამაკში,
გადალლილი არ ჩაიძინება.

შეიძლება გამოიყვანო ახალი ჯიშის ჯუჯა ია,
ჯუჯა მროშანი...
ყველა ყვავილი შეიძლება გამოიყვანო,
მაგრამ ხეები?! ჯუჯა ხეები?!
აი, ვთქვათ, მუხა,
ჯუჯა მუხა,
როგორ გაუძლებს ჩამოსხებილ,
ერთ დროს მდინარის დელტასავით გადაშლილ ტოტებს,
თიხის ქოთნით დადგენილ საზღვრებს,
შეკუმულ ფესვებს,
აი, ეს მუხა —
ერთი ყლუპი ქვეყნის სიმბოლო...
მუმლს როგორდა მოერევა და
გადარჩება...



კატო ჯავახიშვილი

ნახე, როგორი საქართველო ვარ

ნახე, როგორი საქართველო ვარ,
ჯერ კარი არ შემოგილია, უკვე ვალაგებ
მინდვრებს და მთებს დიდ ჩემოდაში,
ქინის თავებით დაჩხელეტილ და მძჭუტავ ქალაქებს,
გზის უძრაობის დარდს გავუჩენ
მგზავრს — უდრობის,
სოფლებს ხორბლისფერ ყუთში ჩაესვამ,
ხელისგულიდან საკენეს დავუყრი.
ნინილები გამოუზრდია მეზობლის გოგოს,
სუნთქვა როგორ გამოვიზოგო,
ხმაურმა რომ არ დაკანროს სმენა?!

დაორთქლვა იცის ჩემოდანმა,
როცა საზღვარს კვეთენ დარდები,
თვალს ნუ ამიხელ ამ ღამით, ღმერთო,
თვალს ნუ ამიხელ.

გაღმა რომ ქალი მისდევს მანძილს
თვალებდათხრილი,
ცორმლის საფირებს რომ ააცვამს ლოდინის თოკზე,
თუ განყალება მზერა გზაზე,
ძაფი — სართზე,
ძალა — სახრელში,
მარადიული მოგონების გზაზე დავტოვებ,
ბოთლით ზღვა მიმაქვს —
მღვაც გემო ბაბუას ცოდვის,
მეფედარი ჩიტებით გაუღენილი დილის ჰაერი,
ნარსულის ყველა ციცინათელა სკივრში ჩავეტე,
მივდივარ ნელა, უხმაუროდ,
ჩემი სიმღერა შემოგება, როცა არ ვმღერ?

ნიშნავს, რომ საზღვრებს გავაძაცებ,
მანამ დილა ჩამოთეთრდება,
ნყალს ნუ ამიმღვრევ ამ ღამით, ღმერთო,
ნყალს ნუ ამიმღვრევ.

ხედავ, როგორი საქართველო ვარ,
მთა-მთა თუ მოვალ — ზღვას დავკარგავ,
ზღვას თუ მივყვები —
შენს ნაპირზე ჩამომატარებს,
ქარს თუ შევუცვლი მიმართულებას,
ფანჯრებს შემოლებს.
დედას თუ გარეთ ვერ გავუშვებ,
ალარ გამარჩენ,
კასერს თუ დავხრი, აჩიუდით უნდა გატარო,
თუ მაღლა აწევ — ქარია და ცა სულ აღარ ჩანს,
ნაისნობაში დამარცხებულებს
მართლა არავინ ელოდება?!

ნუხელ ჩემს სახლს რომ სდარაკობდა,

იმ მეზობელს მუხლმა უმტყუნა?!

არ გამაცილოთ, ჩემო მოკლულო მეგობრებო,
არ გამაცილოთ,
გზას ნუ დატბორავ ამ ღამით, ღმერთო,
გზას ნუ დატბორავ.

მართლაც, როგორი საქართველო ვარ.

რას მიზანდებს ამ სამყაროს ფოიერვერკი?

დღესასწაული მოვიგონ?

(როგორ მაკლია).

ნითელ პომადას გადავუსვა უფერო ტუჩი?

(მგონი, გაცოცხლდა).

ტანს ქეიშის კაბა შევუყენო?

(რა ფერადია).

ჩემოდანი გავატანო იმ მკაცრ მებაუეს?

(როგორ დამიძიმდა)...

ფეხშოგლეჯილი გდა ბიჭი

(თვალი გამეტეცა).

სადმე რომ ჩავრგო ჩემი მკვდარი კაცის თესლი?

(ფეხს არ გაიდგამს?).

სადმე რომ მინა შემოვსაზღვრო გადასარჩენად?

(სხვებ ქალაქება).

სადმე რომ შვილი გავაჩინო უცხოტომელი?

(უკვე ერია)...

შიში როგორდა დავამარცხო?

(განაჩენია).

არც ვტირი და არ ვხმაურობ, არც მეშინია,

ვლობე და ვლობე ჩემი ტანი

(ვერ დავიცავი),

ვკორტხე და ვკორტხე სხვისი გვამი

(უკვე მკვდარია),

აგურს თუ აგურს მივაწებებ,

სახლს ავაშენებ?

მლაშე ზყალს თუ კი ჩამოვცლი გზაზე,

ზღაპა ვერ გავაჩენ?

აი, როგორი საქართველო ვარ.

ჯერ კარი არ შემოგილია, უკვე ვალაგებ

მინდვრებს და მთებს დიდ ჩემოდანში.

ჩემო ცოცხალო მეგობრებო, უკვე გაოენდა?

ჩემო ცოცხალო... ყავილები გიჩანს ტანიდან.

ჩემო ცოცხალო... არ გამოხვალ სამალავიდან?

გზა დამიტბორე ამ ღამით, ღმერთო, გზა დამიტბორე.

ვაი, შე ძეგნავ!

სად წავიდა შენი სოლდატი,

ვადაგასაულ საჭმელს უჩივის? ხომ არ მოშივდა?

ამბობებ, მშიერს უკეთესად უჭირავს ხმალი,

როცა ცას დედა შეუდგება მკვდარი შვილიდან.

ვაი, შე ძეგნავ,

ხორბლის ყანა მოცელე ღამით,

ძუძუდან ხსენი ჩამონიშურე,

ენიდან — თაფლი.

სად, სად წავიდა შენი სახლის ერთგული ძალი,

ცხელ მინაში თუ მის ძვალს ჩარგავ,

დასასრული

სანამ სისას ამოიკითხავდა, ლეპტოპი გა-
ხსნა და იმ ბავშვებს შეეხმანა, გინც ინტე-
რნეტით ერთვებოდა გაკვეთილზე. მერე
თქვა:

— ნინა გაკვეთილზე ჩვენ ვისაუბრეთ
ხევისძერ გორიაზე, ონისეზე და დავუკავში-
რეთ ჰავი-უსუბი და საფარ-ბეგი. მამა-შვ-
ილი და მასწავლებელი და მოსავლე. სასა-
მართლოც მოვანყვეთ. დღეს, როგორც
იცით, კონოჩვენება გვაქვს, ქართული მოკ-
ლემეტრაჟიანა ფილმია, „8 წუთი“. თქვენ
უნდა გამოთქვათ აზრი, რა უნდოდა რეკო-
სორს, ამ ფილმით ერთქვა. გაქვთ რაიმე კი-
თხვები?

— მე მაქვს!

— გიმენთ, ქეით!

— ასე მცონია, მასწ, სკოლა ქარხანაა,
სადაც ყალიბებში გვსვამენ და ისე გვიშვე-
ბენ გარეთ. რა საჭიროა საერთოდ ეს ამდე-
ნი ლიტერატურა, თავში რომ გვატენიან?!

იქნებ საერთოდ არ მომნის ეს კახაბერი

ყაზბეგი და არც აკაცი წერეთელზე ვირევი?

ან ეს ფილმი? იქნებ და სხვა ფილმი უფრო

მაინტერესებს!

— მანც რომელი ფილმი, შევიძლია,
ის ფილმი განვიხილოთ!

ამისთვის არ ვყოფილვარ მზად. დავი-
ბენი. უცებ მესმის, როგორ ჩურჩულებს ვი-
ღადაც ბიჭი...

— ეროტიკა...

ძალიან შემრცხვა. ახლა მართლა ამ-
ათი კლასელი რომ ვიყო, იმ ბიჭს ლოცაში
ლანანს არ გავადები, მაგრამ თმებს კი
დავანინებიდი. ისე, სადაც ნამიკითხავს,
სიტყვის უყურადღებოდ დატოვება შეიძ-
ლება, სილისა კი არა!

— ქით, შემდეგ კვირაში შენს არჩეულ
ფილმში ვისაუბროთ, ოლონდ ისე, რომ ფი-
ლმი კავშირში იყოს იმ მასალასთან, რასაც
გავდებართ. საერთოდ, მინდა, იცოდე, კვი-
რაში ერთხელ გაკვეთილს ვუთმობთ რომე-
ლიმე ფილმის ან თავატრალური წარმოდ-
გენის განხილვას და მერე ვწერთ მცირე
მოცულობის ესები! — ამბობს მასწავლე-
ბელი, თან მერხებს შორის დადის.

„მეტყონა, მასწ!“ — მესმის ბიჭის ხმა.
ეროტიკა, რომ თქვა, ის არის. მასწავლე-
ბელმა, ეტყობა, ახლოს ჩავლისას, სხვას
რომ არ შეენიშნა ისე, უპჩინა, ან თმა აანი-
ნკა. ძალიანაც კარგი, ვირო რომ ხარ, ბო-
დიში ვითოან, ცოტათი მაინც უნდა გეტყი-
ნოს, რაღაც რომ გაიგო!

დაფის ზემოთ ჩამოკიდებულ ეკრანზე
დაიწყო ჩვენება. ეს ფილმი ნანაზი არ მქონ-
და. თავიდან ვერაფერი გავიგე, მზე ჩაქ-
რაო, დედამინამდე ბოლო სხივებია წამო-
სულიო, კაცობრიობას რვა წუთი დარჩაო...
ფილმში ტელევიზორის ეკრანზე მოჩანდა
დრო, რომელიც თანდათან ინურებოდა.
ხალხი პურებითა და ხალიჩებით დაბობდა,
მამა კი ისე ესაუბრებოდა ექსპედიციაში
წასულ შვილსა და მას შეყვარებულს დედ-
ამინის შეორე მხარეს, იქ სადაც მთვარე
ანათებდა, თითქოს ირგვლივ არაფერი ხდ-
ებოდა! თან ერთი წელი არ უნდა გაი-
ნოს კავშირის ბიჭის სახელის დადის.

ფინალში ილუზიონისტი მამა თავად იძ-
რალებს, თითქოს ის აქრობს მთვარეს... ეს
ქალი მინდა, გაგჩერიო — ცოდო არ არიან
ბავშვები? ეს უსისხლო ქალი!

დამთავრდა ფილმი — ჩაქრა მზე, ჩა-
ქრა მთვარე. მოისპონ სამყარო და თითქოს
ეს ყველაფერი მართლა მოხდა. ფანჯრებს
ვაკვირდები, მზე მინდა, მოვძებნო — მარ-
თლა ხო არ ჩაქრა?

— აბა, ვის სურს, აზრი გამოთქვას?

— მასწ, დავიწყო?

ის ბიჭია, ვისაც უპჩინეს. — არა, შენი აზრი ვიცი უკვე!
— მასწ, რა იცით, იქნებ, რას ფილმირობა?
— არ მოგენონებოდა, ამას რა დაფიქ-
რება უნდა?

— არა, მასწ, მართლა ძალიან მომენ-
ნა!

— აბა, თქვი, რა მოგენონა?

— ხანგრძლივობა — მხოლოდ თორმე-
ტინუთი.

— გვატყუებენ, მასწ... — ეს სხვაა, ისიც
ბიჭი.

— რას გატყუებენ?

— ფილმს პქვია რვა წუთი და გრძე-
ლდება თორმეტი წუთი.

— „იყუჩე, ბალდო!“ შენ ცხოვ რაიმე გაქ-
ვს გულმი! — მოხვევთა კი მონი — მაგონი

სისა რა მოვიკონისტის და დაფიქ-

ლევან ლორია

ქვის ყველი



ამ ფილმში? რა განდათ ახლა, ჰავი-უსუბი-
ვით მოვიქცე? შენ რას იტყვი, ლაშა?!

— ხუმრობენ, მასწ, მართლა მაგარი
იყო!

— აბა, შენ თქვი, ლაშა, რა იყო მაგარი?

— მასწ, ბუსუსებმა დამაყარა, აპოკა-
ლიფსის დროს ილუზიონისტ მამას როგორ

უნდა ისევ შვილის გაოცება. სხვები ცდილ-
ობენ, საკვები ცალიმარავონ, მდიდრული

ნივთები გადანახონ, მამა კი ისევ წარმოდ-
გენის მარტივი ემანის ემანის ემანის

— და დადუმდა კახაბერი, ვერაფერი თქვა.

თუმცა დარწმუნებული ვარ, აზრი არ შეუ-
ცვლია.

— მასწ, კახაბერი ინდაინ რატომ ერ-
თვება? — ჩაქრერთ მეც.

— მეზობელ ბავშვებს კოვიდი აღმოაჩინ-
და და კარანტინშია. ქეით, შენ რას გვეტყვი, მოგენონა ფილმში?

— მე კასაბერს ვეთანხმები, ტყუილით
ნაკეთებ საქმეს ფასი ეკარგება!

და ამას ვინ ამბობს? მე, ვითომ მოსწავ-
ლე, სხვისი სახელით და გვარით, თუმცა
ახლა მართლა ასე ვფიქრობ. ისევ ლეპტოპ-
იდან გვეხმანებიან. სულ პატარა ბავშვის
ხმაა.

— კახაბერ, კახაბერ... მზე რომ ჩაქრეს,
მთვარეც ჩაქრება?

— ბებო, ხო გითხარი, რა... გაიყვანე რა

იქეთ ოთახში ცოტნე, გაკვეთილზე ხელს
მიშლია! — ეს კი ნამდვილად კახაბერის
კლასელია.

— მასწ, ვუპასუხებრა? ცოტნე, მთვარე გა-
მინის სხივებს აირევას, თუ მზე ჩაქრება
მთვარეც ჩაქრება... — გვეხმანება კახ-
აბერი.

— ბავშვები, დრო გვეწურება. ნახეთ,
ამ ფილმში ითხო სახელია მხოლოდ — გია,
ნიკა, ელენე და მეოთხე, მეზობელი — ნინო
დეიდა. დანარჩენ გმირებს აქ სახელი არ
აქვთ. ხვალის ტვის არ უსაუბრიათ, თან ერთი
ალთას არის, მეორე — ბალთას, დედა-
მინის მეორე მხარეს. ბოლოს კი მამა ცხოვ-
რების ბოლო წამებს შვილს ახარჯავს... —
ამას ანა ამბობს, ისიც დამამახსოვრდა იმ-
იტომ, რომ ჩემს წინ ზის.

— მასწავლებელი ახლა ლეპტოპში ექებს
ვიღაცას:

— კახაბერ, შენ რა გვეტყვი?

— ტყუილია, მასწ, ეს ყველაფერი!

— გვესმის ლეპტოპიდან კახაბერის ხმა.

— რატოა ტყუილი?

— ერთი იმიტომ არის ტყუილი, რომ მზ-
ეს თხო მიღიარდი წლის რესურსი აქვს
კიდევ. შეუძლებელია, ის უცედ, მყისიერად,
ჩაქრეს.

— ხელოვნებაში შეიძლება უწყინარი
ტყუილები!

— რა უწყინარი, მასწ, დედამინამდე ბოლო
ამ განაღალურია აუზნა! უცედ ტელევიზორი რომ
ჩართოს ვინმებდა და ეს ქვეუნიერების აღსა-
რულად ჩათვალით, ხო გაუსედა გული?

— ეს სხვისი ხმაა ლეპტოპიდან.

— ლუკა, ქალბატონ ნების ბოლიშს ვუ-
ხდი, თუ ასე იმოქმედა! კახაბერ, ერთობი,
თქვი, აბა, მეორეც, კიდევ რატომ არის ტყ-
უილი?

— კიდევ იმიტომ, რომ მზის სხივის სიჩ-
ქარე და საერთოდ სინათლის სიჩქარე მაქ-
სიმაღლურია ბუნებაში და ვინ ჩამო-
ნები ინფორმაცია ინფორმაცია არ არიან

დედამინაზე ინფორმაცია, მზე ქრება?

— ანუ გამოდის, ვინმე მაცნებდა და ვინმე
დადებით და ვინმე მაცნებდა და ვინმე

და ვინმე მაცნებდა და ვინმ

ფიზიკას გამოიყენებდა არისტოტელე, მათემატიკა ყვაოდა ძველ ეგვასტეში და შუმერებში ორმოცი საუკუნით აღწევ!

— მასნ, ჩემი სიტყვები კი არაა, ანშტაინისაა!

— აინშტაინი არც არავის ეცოდინებოდა, ცოლი რომ არ ჰყოლოდა მათემატიკოსი!

— მაგასაც ნუ იტყვით, მასნ!

— კარგი, კახაბერ, ვთქვი უკვე და აწი რაღა დროსაა და არ თქვა ახლა, რომ მათემატიკის გარეშე ფიზიკოსები საერთოდ შეძლებდით რაიმეს. ბავშვები, პროექტის საქმე როგორ მიდის, არ დაგავიწყდეთ — პარასკევას დია გავეცოლი გავაქვს.

— მასნ, პლაკატები მზად გვაქვს და თეორიულ ნაწლავს ვამცირებთ, რომ დროში ჩავტოთ!

— ქვითიც ჩართეთ, ხო? მოდი, მოკლედ გავიაროთ, რა გვაქვს... აბა, ვინ გამოვა?

ესენი ვერ არიან, ყველას ხელი აქვს ან-ეული. მეც ავწევდი, მაგრამ რა ვთქვა?

— პლაკატები არ ვინდათ, უბრალოდ, ინფორმაცია იყოს, რაც მოიძიეთ. გიორგი, აბა, რას გვეტყვი?

— მასნ, ფიზიკობ უფალი მათემატიკოსია, პარმონიულად დაყო...

— ერთი წმით... გაიგე, კახაბერო, გიორგიმ რა თქვა? — ლეპტოპს უყურებს მერი მასნ.

— მასნ, გიორგი აბოდებს მათემატიკაზე და მეტს რას იტყვის?

— ჰოდა, ეგრე! გააგრძელე გიორგი!

— დიახ, მასნ, უფალმა პარმონიულად დაყო მთელი ისეთ ორ არატოლ ნაწლავ, როდესაც მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი მთელს და — პირიქით ნახეთ, რა გვითხრა ადამიანებს, ან ბუნებას რა უთხრა, ადამიანები არ უნდა ჰგავდნენ ერთმნიერთს, მაგრამ პარმონაში უნდა იყვნენ. ეს აისახა ბუნებაშიც, მზეს უმზირა მარცვლების განალება, ლოკო-კინას ნიუარა, ადამიანის სხეული და უბრალოდ ტყეში, ხეების განლაგებაშიც კი ოქროს კვეთა ასახული.

— მასნ, ვაშლასაც მოვიტანო, მერე ეკატორზე გავჭრათ და ვინც დაგვესწრება, ვარსკელავი ვანახოთ, თქვენ რომ გვაჩვენეთ! როგორ გვითხრაით — ვაშლის გულში მზე არისო?

— კი, კარგი იქნება! თუმცა ეს ოქროს კვეთას არ უკავშირდება, მაგრამ ბუნება რომ ყველაზე საოცარი მხატვარია, ამის საჩვენებლად გამოდგება. კარგი გიორგი. აბა, მარი — ხელოვნება და ოქროს კვეთა?

— მასნ, ვეფხისტყაოსნის სტროფების დიდი ნაწილი ოქროს კვეთითა.

— ლია გაკვეთილზე აუცილებლად მაგალითები მოიყვანეთ, ერთი ტაქტი მაინც. აბა, გიგა, მხატვრობაზე რას იტყვი?

— ტიციანის, რაფაელის და ლეონარდო და ვინჩის მხატვრობაში ოქროს კვეთა გამოყენებული.

— აუცილებლად სლაიდები გამოიყენეთ. ლიანა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადმოვიყენათ, აბა?

— მასნ, ადამიანის რომ მათემატიკოსების ესმოდეთ, საერთოდ მინ არ იქნებოდა, ყველა სადაც საკითხი მოინხებოდა ანუ კომპიუტორის შემთხვევისთვის.

— მოკლედ, ლია გაკვეთილზე აუცილებლად მაგალითები მოიყვანეთ, ერთი ტაქტი მაინც. აბა, გიგა, მხატვრობაზე რას იტყვი?

— ტიციანის, რაფაელის და ლეონარდო და ვინჩის მხატვრობაში ოქროს კვეთა გამოყენებული.

— აუცილებლად სლაიდები გამოიყენეთ. ლიანა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადმოვიყენათ, აბა?

— მასნ, ადამიანის რომ მათემატიკოსების ესმოდეთ, საერთოდ მინ არ იქნებოდა, ყველა სადაც საკითხი მოინხებოდა ანუ კომპიუტორის შემთხვევისთვის.

— ჩვენთან იყოს, მასნ, ჩვენთან იყოს, მასნ... დანიშეს კვირილი ბაზებმა. კახაბერის ხმაც კი მესმოდა ლეპტოპიდან...

შესვენებაზე ბაზებმა, შენ თვითონ გადაწყვიტე, რომელ გუნდს შეუერთდე, არ გვეწინება. ამათ არ იციან, რომ ამ სკოლაში ერთი გაკვეთილი მრჩება — ფიზიკა. მოვიფიქრებ და ხვალ გეტყვით-მეთქი, ესლა ვთქვი.

— მასნ, შეიძლება, ვისაუბრო თემაზე, თუ რა საჭიროა ფიზიკა?

— ეს კახაბერა, ფიზიკის გაკვეთილი და გვეწენა. ნიღაბს შიგნით ვატყობათს სკოლაში მათემატიკის მინიჭებული მასალა. ქეით, რო გუნდად არის კლასი დაყოფილი, ერთი გუნდი ეძიებს მასალას ოქროს კვეთა ბუნებაში, მეორე — ოქროს კვეთა ხელოვნებაში. შენ რომელიმე გუნდს შეუერთდი?

— ჩვენთან იყოს, მასნ, ჩვენთან იყოს, მასნ... დანიშეს კვირილი ბაზებმა. კახაბერის ხმაც კი მესმოდა ლეპტოპიდან...

შესვენებაზე ბაზებმა, შენ თვითონ გადაწყვიტე, რომელ გუნდს შეუერთდე, არ გვეწინება. ამათ არ იციან, რომ ამ სკოლაში ერთი გაკვეთილი მრჩება — ფიზიკა. მოვიფიქრებ და ხვალ გეტყვით-მეთქი, ესლა ვთქვი.

— კახაბერ, შენ ის მითხარი, სკოლაში როდის დაბრუნდები?

— დღეს მეთერთმეტე დღეა, მასნ, ორკვირიანი მაქვს, ანუ ორშაბათს სკოლაში ვიქნები.

— რა ეტაპზეა სამუშაო ჰაერის გამწმენდის?

— აინშტაინის დაბადების დღისთვის მზად გვექნება, მასნ... მალე დავტესტავთ, ბიჭებს ყოველდღე უუკავშირდები მესენჯერით...

— კარგი, რაო, რას ამბობდი?

— მასნ, ფიზიკის საჭიროებაზე ვისაუბრებ-მეთქი!

— და რატომ, ვინმე უარყოფს ამას?

— ისე, მასნ, ფიზიკა რომ საჭიროა, ყველამ იცის. აი, ახლა თერმოდინამიკას ხო გავდევართ და დღეს ვწიერობოდი ადამიანურ ურთიერთობაზე, როგორ გადაიდის თუნდაც თერმოდინამიკის პირველი კანონი!

— ხო, აბა, გისმენთ მაშინ, ეს უკვე საინტერესოა!

— ეს კანონი გვეუბნება, სისტემის შინაგანი ენერგიის ცვლილება უდრის მასზე გადაცემული სითბოს და შესრულებული მუშაობის ჯამს. თუ ჩავთვლით, რომ ცალკეული ადამიანი ცალკე სისტემას, როდის ვაბენირებით მას? როცა სითბოს გადავცემ, კარგ სიტყვას ვეუბნებით, თუნდაც ძალია უმნიშვნელოს, მაგრამ რაღაც ვაკეთებით მისთვის.

— მასნ, მერე აქ საქმეში ერთვება ნიუტონის მესამე კანონი, ქმედება უდრის უკუმედებას და „მიმინოში“ რომ არის, თუ შენ კარგად ხარ, ანუ მეც კარგად ვარ... — ეს ლაშა.

— კარგია, ნიუტონიც რომ გაიხსენეთ!

თერმოდინამიკის პირველი კანონი გასაგება, ახლა ვინ გააგრძელებას, მეორე კანონიცა და დაშავა რამე?

— სითბო ვერ გადაეცემა უფრო ცივი სხეულიდან უფრო თბილ სხეულს, თუკი სამყაროში რაიმე ცვლილება არ ხდება.

— ეს გასაგებია, კანონი კარგად იცით? აბა, მედი, ეს კანონი ვანინეს დაუკავშირებით, რომელიმე ცნობილ ადამიანის. ახალ მოსწავლეს ვკითხოთ! ქეით, გახსენდება ვინმე?

— მე მიუურებს. უცებ მასახსენდება, ქეით ხო მე ვარ. რა ვუპასუხო? გონებაში ამოტივი და დავინახე — დამის სანათი აენთო და კომპიუტერის მაგიდასთან იჯდა. ვხედავდი, როგორ ასწორებდა მოსწავლების ნაშრომებს, მერე სურათებს ულებდა ტელეფონით და პასუხებას განვითარებდა, კანონი ერთვება ნიუტონის მესამე კანონის შემთხვევაში და დედა დავინახე — დავინახებით სხედან, თან ონლაინ გავითილების ატარებენ და ერთი მოსწავლის ნაწილის შემთხვევაში და დავინახებით სხედან, თან ონლაინ გავითილების ატარებენ.

— რედაქციაში ვარ ისევ... — აბა, როგორა ასაქმე? — მეკითხება იმპატრიორო.

— უცებ გონება იხსენდება წეუბნების ნიუტონის მესამე კანონი, ერთი უცებ უმშევრებელ დარწმუნებული დედა და კომპიუტერის მაგიდასთან იჯდა. ვხედავდი, როგორ ასწორებდა მოსწავლების ნაშრომებს, მერე სურათებს წეუბნების ნიუტონის მესამე კანონის შემთხვევაში და დედა დავინახებით სხედან, თან ონლაინ გავითილების ატარებენ და ერთი მოსწავლის ნაწილის შემთხვევაში და დედა დავინახებით სხედან, თან ონლაინ გავითილების ატარებენ.

— რედაქციაში ვარ ისევ... — ეს კარგი ისევაციაში ვარ ისევ... აბა, როგორა ასაქმე? — მეკითხება იმპატრიორო.

— უცებ გონება იხსენდება წეუბნების ნიუტონის მესამე კანონის შემთხვევაში და დედა დავინახებით სხედან,

ს ხელი მაქავს ნოდარ წულეისკირის რო-
მან „აფთრების“ 1995-ისა და 2013 წლების
გამოცემები. ეს სამდგილად კარგი მასა-
ლაა ლიტერატურისთვის, რომელსაც მა-
თი ტექსტურულ- მხატვრული ანალიზით
თავისუფლად შეუძლია, კვლევის სასურვ-
ელ შედეგზე გავიდგეს. არც ისე ბევრია XX
საუკუნის ქართულ მწერლობაში ესოდენ
რეზონანსული ტექსტი, რომელმაც ეპოქ-
ის მთავარი პარადიგმა მოიხელთა და, სხვა
რომ არ იყოს, მის გარშემო ერთხანს შექმ-
ნილი ხმაურის გამო „მწერალსა და მკითხ-
ველს შორის ანგარიშგასასწევ ნივთმტკიცე-
ბასავით“ დაიდო.

XX საუკუნის „სამოციანელებად“ ცნობილი თაობის ლიტერატურულ გარღვევაზე საუბრის დროს ნოდარ ნულების კირის სახელი არც ისე ხშირად მოიხსენიება. ამის მიზეზი, მავანთა აზრით, მის შემოქმედება-ში გამონაგონსა და სიმართლეს შორის ერთგვარი დისბალანსის არსებობაა. სინამდ-

კილეში მწერალს სიმართლე მხატვრული სამოსის გარეშე, ასე ვთქათ, შიშვლად არ-ასოდეს წარმოუდგენია. იყო სათქმელი და იყო ფორმა. სხვა საკითხია, რომ თვით ეს სიმართლე კულება დროში უხერხული. ამ-ასთან, იგი მწერლისგან საზოგადოების სა-ხელით საუბარს ითხოვს, რაც, საპოლოო ჯამში, მწერალსვე ირაზროვნა მდგომარ-ებაში აყენებს. წაიკითხეთ ნოდარ წულეი-სკირის „ოცი წელი წერაქვი“, ასევე მისი შეილიშვილის, თათია შენგელააის, მოგო-ნებების შესაძირენავი წიგნი და ნახავთ, სად მიჰყავს ამ გზას მწერალი და ისიც ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. „მექ-ითხებიან, რატომ არ წერო? და ვისთვის ვწერო ან რისთვის?“ წერ, დაწერილი არ ესმით, არ წერ და დუშმილიც არავის ესმის“ — ეს გვიანდელი თვითშეფასებაა. მაშინ-დელი, როდესაც მეგაფონებში ჩაკარგული დამოუკიდებლობის დაცვისკენ მოწოდე-ბების ფონზე ჯერ ბუნერში გამომწყვდეუ-ლი, შემდეგ კი იქიდან თავდაღწეული, დამ-არცხებული და ტყვიამიდევნებული, მარ-ნეულის რაიონის სოფელ წერაქვში ქალ-იშვილის ნახევრად აშენებულ სააგარაკო სახლს შეეხიზნა და თითქოს პირველსანქ-ისს დაუბრუნდა, ჯერ თავისი ახლობლებ-ისთვის პურის მცხობლად, შემდეგ კი იმავე სოფლის მასნავლებლად იქცა. სწორედ იქ დახვდა ის, რასაც ეპრძოდა, რისი შეცვლ-აც ასე სურდა. უძრაობა და სილარიბე, ეჭვი და უნდობლობა და კიდევ საჩივრების წე-რაში განაფულობა — საბჭოთა უტობის ეს „ბოროტი ყვავილები“. „აქ გასამდიდრე-ბლად ჩამოხვიდოდი, სხვა რისთვის? ჩეცნ-თვის ხომ არა?“ უნდა გიჩივლო, გაარკვიონ ერთი იქ, სადაც საჭიროა, ვინ ხარ და რა ხარ?“ ეს კიდევ არაფერი. კულმინაციური მომენტი, ალბათ, მაინც ის გაქურდვა იყო, რომელიც დროში სწორედ მისი, როგორც მასნავლებლის მიერ, ამ უკმაყოფილო ად-ამიანთა შვილებისთვის გაკვეთილის ჩატა-რებას დაემთხვა და რომლის დროსაც ხე-ლს გააყოლეს იმხანად ოჯახის ერთადერ-თი საარსებო წყარო — სიმწრით შეძრნი-ლი პურის ფევილის ტომარა. დაბრკოლე-ბად კი სულაც არ ქცეულა ის ფატი, რომ ადგილი, სადაც ეს უშმავსობა ხდებოდა, არც მეტი, არც ნაკლები, მიხეილ ჯავახი-შვილის მშობლიური სოფელი იყო.

ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი ისგან ათვალისწინებული მნერალი (და არა მარტო მნერალი) განსაკუთრებული მოვლენაა. მას, პირველ ყოვლისა, არ პატიობენ საკუთარი მოწოდებისადმი ერთგულებას, უსარგებლო სიჯოუქესა და პრინციპულობას, ნონკონფორმიზმს, სუბორდინაციის შემუშავებული წესების უგულებელყოფას, თვით ამ საზოგადოების სტრუქტურის შერყევას, რომელსაც სოციოლოგმა გაგა ნიჟარაძემ „შიდაჯგუფობრივი ფავორიტიზმი“ უწოდა. თუ გინდა, კომფორტის ზონაში აღმოჩნდე და, რაც მთავარია, იქ დარჩე, გუნდთან ერთად უნდა იყო, ანუ, დაიცვა თამაშის ის წესები, რომელსაც თვითონ ნოდარ წულებისკირი ასე აფასებს: „შენ რაც გინდოდა, იმას ვერ დაწერდი. უნდა გეხერა, რაც უნდოდა „ზარია ვოსტოკას“ და „კომუნისტის“... თუ რაიმეს წერის საშუალებას მოგცემდნენ, ფრთხილად უნდა გეთქვა სათქმელი და ამას „ცისქარი“ ბეჭდავდა... თუმცა შესავალი უნდა ჰქონდა ისეთი, რომ საბჭოთა წყობა გექო. მაგას „პარავოზზს“ ვიძახდით“.

თავიდანვე ისე გამოვიდა, როგორც საკუთარ დღიურებში ერთგან ჯონ ფაულზი შენიშვნავდა: „წერო, რათა წერის უფლება

მოიპოვო”. ასე შეიქმნა, სხვათა შორის, მა-შინვე მწერალთა კავშირის პრემიით დაჯი-ლდოებული მოთხოვდების პირველი წიგ-ნი „მტკვრის პირას გათეთრებული კაცე-ბი“ (1961) — უმტკივნეულო თემაზე ნიჭი-ერად დაწერილი ადამიანური ისტორიები. მასში დამწყები მწერლისთვის არც თუ ისე ხშირად დამახასიათებელი ზუსტი დეტალ-იზებითა და კოლორიტის შეგრძნებით წა-მონეული იყო ეგრეთ წოდებული ძველთბი-ლისური მოტივი, რომელიც ის-ის იყო ფეხს იყიდებდა (ერთ-ერთი ასეთივე წარმატე-ბული ცდა გამოდგა მოგვიანებით, 1967 წელს, მერაბ ელიოზიშვილის „ბებერი მე-ზურნეები“). თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ნოსტალგიის ეს ფორმა ისე გავრ-ცელდა და, შესაბამისად, ისე გაცვდა კიდ-ეც, რომ მის წინააღმდეგ არჩილ სულაკაუ-რის სპეციალური წერილის დაბეჭდვაც კი გახდა საჭირო. სტუდენტური წლების შემ-დეგ წოდარ წულებისკირის, როგორც ახა-



ლგაზრდა სპეციალისტის, მიერ ყოველდღიურობაში უშუალო ჩართულობით მიღებულმა შთაბეჭდილებებმა ასახვა პოვა მოთხოვნებში „ორი უძილო ღამე“, „შეჩვევა“, „ციცერონა“, „გაჯცევა“ და სხვა. აქ ადრინ-დელ ნარმოდგენებში დაეჭვებულის შეშფოთობებული ხედვა და ირონია იკვეთება. პერსონაჟები აშკარად კარგავენ სულიერ სამშვიდეს. ისინი სხვადასხვა მიზეზით, მნერლისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „აჯანყებულ ფიქრს“ შეუძყრია. ავტორი ცდილობს ამ შინაგანი მოუსვენრობის მიზეზთა აღმოჩენასა და ერთგვარად განზოგადებას, თუმცა გარე და განსაკუთრებით შინაგანი ცენზურით გამოწვეული შებოჭილობა მის პოზიციას რამდენადმე აბუნდოვანებს. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნის სახელწოდების მთელი კრებულის („შეჩვევა“, 1967) სათაურად გამოტანა კი, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, უთუოდ მნიშვნელოვანი იდეის აქცენტირებაზე მიგვანიშებს. „შეჩვევა“ — „შეგუება“ — „შეგრუებლობა“ ნოდარ ნულებისკირის თვის მაშინ იქნება ყველაზე მწვავე და, რაც მთავრია, ჯერ კიდევ პასუხებაუცემელი კითხვა.

ს გამოხატულება იყო.
ადრე თუ გვიან სახელოვნებო სივრცე-ში დამკიდრების ყველა მოსურნე უეჭველად დგებოდა მსგავს გზასაყარზე. ამიტომ ჩვენს ავტორსაც ამ სიტყვებისთვის ან ანტონიმური წყვილები უნდა მოექცინა, ან ხელისუფლებისადმი საეჭვო რეპუტაციის დოთირამბები აღვლინა, სწორედ ისე, როგორც ეს „ენაჩაყლაპულ, გულხელდაკრეფილ“ (ოთარ ჭილაძე) კამპონსანთა უმრავლესობას ახასიათებდა. მოკლედ, დამკვრელურად შეექმნა მყვდრადშობილი სოცრეალისტური თუ მოსოცრეალისტო ტექსტები, მაგალითად, დაახლოებით ისეთი, როგორიცაა „ზესახესა და ბუძგურიას სიყვარულის ამბავი“, პირვანდელი სათაურით „ზესახე“, რაც მეგრულ ენაზე მზე-თუნახავს ნიშნავს. კომუვშირულად წოდებული ენგურჟესის მშენებლობის პროცესი ცხოვრების აშკარად უცხო წესის კალკირება აღმოჩნდა. შესაბამისად, მის ფონზე ნაცნობი ხასიათების ბუნებრივი განვითარების ნაცვლად მივიღეთ სექმატურობა და მხატვრული არადამაჯარებლობა.

არსებობდა კიდევ ერთი და იქნებ ყველაზე რთული გამოსავალი — მოძრაობა საკუთარი თავისი კენ და თუ იმას არ დაწერ.

და, რაც არც ენტერბოდა, ალტერნაციული, მაშინ უკვე არაოფიციალურად წოდებული, პროზა უნდა შეექმნა. 1964 წელს გამოქვეყნებული ორმანი „თეთრი მთა“ ასეთი ჯერ არ იყო, თუმცა საგულისხმო რამდენიმე მიმართულებით აღმოჩნდა. პირველ ყოვლისა, მასალის ფლობით (ეს ბავშვობისა და სიყმანზეილის წარუშლევლი შთაბეჭდილებებია), რომელიც ავტორს ადრინდელი შებოჭილობისგან ათავისუფლებდა და ამასთან ერთად მკითხველის საკუთარ „იოენაპატოფაში“ შემოყვანის საშუალება-საც აძლევდა. თვით თემა — ომისდროინდელი სამეცნიეროს, გურიის თუ ნებისმიერი სხვა კუთხის სიტყვიერი ვიზუალიზაცია, ბებია-ბაბუებთან გატარებული უდედმაში ბავშვობის ტკბილ-მნარე დღეები — მაშინდელი სამწერლო პროცესის მაკონტროლებელთა მიერ ვიზირებული და მხატვრულად საკმაოდ კარგად დამუშავებულიც იყო (მაგალითად, „მე ბებია, ილიკო და

ნონა კუპრეიშვილი

დაცარგული ჰარმონიის ძიებაში

„ლარიონი“ 1961 წელს გამოქვეყნდა). თუ-
მცა ნოდარ წულების კირი, მიუხედავად კო-
ნიუნქტურული პასაუებისა, მაინც ახერხე-
ბს თავის მნერლურ არსებაში, შეიძლება
ასეც ითქვას, კონკრეტული კულტურული
თუ ისტორიული კონტექსტის მიღმა არსე-
ბულ საკუთარ ანთროპოლოგიურად მდგ-
რად „მე“-ში „გარევევას, საკუთარი გეზის
მოსინჯვას და, ამასთან, მოგონებების ორ-
იგინალური ვარიანტის შექმნას, რაც გან-
საკუთრებით თხრობაში მითოსური პლა-
ნის შემოტანით რეალიზდება. ერთი მხრივ
ცხენისწყლისა და აპაშისწყლის ჭალები,
საკალანდარიო, ჯერ შეუცნობელი სამყა-
როსეკნ მიქცეული თვალასხელილი ბიჭის,
გურამ კალანდარის, ნაივური, შემდეგ კი
დაკვირვებული მზერა და მეორე მხრივ
ლეგენდით შებურული თეთრი მთა, ქვა-ჭე-
შმარიტის ადგილსა მყიფელი, პირპადრი
ჭალუკის, ჩხანაშის და მისი მეგობრების,
თუთაშისა და ვარდიშის ბედისგამოსაცდე-
ლი გაბრძოლება მზეთუნავების გამოსახ-
სნელად ორგანულ მთლიანობას ქმნის. ეს
უდავოდ იყო მშობლიური კუთხიდან გა-
მყოფლილი შთაბეჭდილებების სუბლიმი-
რების ნარმატებული მცდელობა, იმავდ-
როულად ათეიზმის პროცეგანდით გაბრუ-
ებულ საზოგადოებაში ღვთაებრივთან, სა-
მყაროს საიდუმლოებრივ არსთან მიახლო-
ების ეფექტური საშუალება. ამასობაში 70-
იანი წლების ქართულ მნერლობაში უკვე
დაწყებული იყო არქეტიპული სახეების,
მითოლოგიური და ბიბლიური მითოლო-
გემების ტრავესტირება, რაც ნოდარ წულ-
ების კირის ნინაშე დასმულ მხატვრულ ამო-
ცანასაც სწორ მიმართულებას აძლევდა.
რეალობის გასაფაროთოებლად მითოსში
გადასვლა არაერთი „სამოციანელის“, მათ
შორის ნოდარ წულების კირისსთვისაც, განს-
ხვავებულად და ფართოდ ხედვის, მნერ-
ლური ფანტაზიის გაშლისა და ენის კარ-
გად დავინებული შესაძლებლობების დე-
მონსტრირების შანსი იყო.

ამდენად, მიღებული გამოცდილება ერთჯერადი ეფექტის ვერ იქნებოდა. ეს მოსაზრება, ვიფერობ, სრულად დაადასტურა მოგვიანებით შექმნილმა რომანმა „თუთარჩელამ“ (1971), რომელშიც აქამდე საგულისხმო შენაკადად მოწოდებული მოტივი წამყვანად იქცა. „თუთარჩელა“ ამ პერიოდის მნიშვნელოვან პროზაულ ნიმუშებთან ერთად ჩვენი მწერლობის დივერსიულიციის პროცესის ნაწილად იქცა. მან, ფაქტობრივად, ახლა უკვე ნოდარ ნულების კირთან მიმართებითაც, XX საუკუნის 20-იანი წლების ეგრეთ ნოდებული „პროზის ბუმთან“ და მითოსის გამოხმბის შთამბეჭდავა, მხატვრულად უაღრესად წაყოფიერ პროცესთან ახალი სამოციანელების მემკვიდრეობითი კავშირი დაადასტურა. სხვა საქმეა, რომ ღრმად იდეოლოგიზებულმა და ჩაკეტილმა ჩვენმა კულტურამ მოგვიანებით შექმნილმა რომანმა „თუთარჩელამ“ (1971), რომელშიც აქამდე საგულისხმო შენაკადად მოწოდებული მოტივი წამყვანად იქცა. „თუთარჩელა“ ამ პერიოდის მნიშვნელოვან პროზაულ ნიმუშებთან ერთად ჩვენი მწერლობის დივერსიულიციის პროცესის ნაწილად იქცა. მან, ფაქტობრივად, ახლა უკვე ნოდარ ნულების კირთან მიმართებითაც, XX საუკუნის 20-იანი წლების ეგრეთ ნოდებული „პროზის ბუმთან“ და მითოსის გამოხმბის შთამბეჭდავა, მხატვრულად უაღრესად წაყოფიერ პროცესთან ახალი სამოციანელების მემკვიდრეობითი კავშირი დაადასტურა. სხვა საქმეა, რომ ღრმად იდეოლოგიზებულმა და ჩაკეტილმა ჩვენმა კულტურამ მოგვიანებით ამ წამოწყებასაც თავისი პირვანდელი მისია გამოაცალა და ჩვეულებისამძრ გაამარტივა (გავისხმოთ ამ ტენდენ-

ციის წინააღმდეგ დაწერილი ოთარ ჩხეიძის „ლვინია გადაიჩესა“).

გასული საუკუნის 70-იანი ხლების ში-
ოთსურ აზროვნებაზე საუბარი მტიდროდ
უკავშირდება ამავე პერიოდში აქტივირე-
ბული „კორუმპირებული ენის“ პრობლემას
(„ქართული ენა კორუმპირებული ენაა. ამ
ენით ვერაფერს აღწერ“ — მთარგმნელი
მაია ბაძრიძე), რომელიც სიტყვის მნიშვნე-
ლობისგან დაცლას, იგივე ფუჭსიტყვაო-
ბას ეფუძნებოდა. გურამ დოჩანაშვილმა
სხვებზე ადრეც კი იგრძნო მისი დამანგრ-
ეველი ძალა და თავის ცნობილ მოთხრობა-
ში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლი-
ერ უყვარდა“ (1972) ერთმანეთს იდეოლო-
გიურ იარაღად ქცეული მკვდარი და დიდი
ლიტერატურით რეანიმირებული ცოცხა-
ლი ენა დაუპირისპირა.

ეს პროცესი, ცხადია, იყო ღირებულებათა რღვევის ლოგიკური შედეგი ან, შესაძლოა, სულაც პირუეუ — საბჭოური ცხოვრების სტრუქტურული ჩამოშლა, რომელიც მის მიმართ ოპზიციურად განწყობილი ენის საკორდინაციო სივრცეზე განვითარდა.

სააზროვნო სივრცეში გასვლა ნოდარ წულებისკირს არა მხოლოდ უძლიერებდა ნარმოსახვას, არამედ ამდიდრებდა და სხვადასხვა არაორგანული მინარევისგან იცავდა მის სტილსა და მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს. „თუთარჩელას“ პირველივე ფურცლებიდან მეოთხეველს მითოსურ ნიაღალსვლებთან ერთად ენის სტრქიის ძალაც იძყრობს. თითქოს სწორედ ენის სიმსუბუქემ და ყოვლისმომცველობამ წარმოაჩინა ავტორის შემოქმედებით პროფილის აქამდე ჩრდილში მყოფი მხარე. ამან კი თავის მხრივ მკითხველს ახლის აღმოჩენის სიხარული გაუჩინა.

რომანის მთავარი გმირი ქალაქიდან მშობლიურ სოფელში დაბრუნებული ექი-
მი გუგუ კალანდარია (ისევ კალანდარია — ნ. კ.). საკუთარი ფუქე-ნერჩით ძალმი-
ცემული, ლეგენდებითა და გადმოცემებით
დახუნდლულ „ჰეკატეს ბაღს“, ხილულ თუ
ნაკლებად ხილულ არქეტიპულ ნიშნებს გა-
რკვეული მიზნით იყენებს. გუგუ კალანდა-
რიას ოდიოსას მსგავსად სურს, მისწვდეს
ღვთაებრივ საწყისს, მეტიც, დათრგუნოს
სხეულების ქალღმერთი „ჰეკატე-თუთა“,
რაც არანაკლებ რთული აღმოჩნდება, ვი-
დრე თანასოფლელთა მოვლემარე სულებ-
ში ნათელის გაღვიძება. „ვერ შეძლო, ექიმს
გული აღარ გადაუშალეს, გუგუს კი უკან
დახევა არ უნდოდა... კალანდარიების
სულში უნდა შეელინა, იქ ახალი სამყარო
უნდა აეშენებინა, ჰარმონია და ნესრიგი
უნდა დაემყარებინა...“. „უცნაური ექიმი გუ-
გუ კალანდარია — „მთვარის (ანუ თუთაშ) ეკცების“ შთამომავალი. მთელ მის მიზან-
დასახულ ქმედებებში, საბოლოო ჯამში,
ჰარმონიისკენ სწრაფვა იყითხება, სწორედ
ის სწრაფვა, რომელიც შოგვიანებით თა-
ვად მწერლის შემოქმედებითი და საზოგა-
დოებრივი ცხოვრების ძირითად იმპულ-
სად იქცევა. რომანის ერთ-ერთმა პირვე-
ლმა რეცენზიტმა აკაკი ბაქრაძემ (მთვა-
რიანი ლამის საიდუმლო, ფიქრი და განს-
ჯა, 1972) მითისურ შესავალსა და რომა-
ნის მეორე ნაწილში განვითარებულ თან-

ამედროვე ამბავს შორის, რომელშიც, მისი აზრით, ზოგან დრამატულისა და სატირული ელემენტების აღრევა შეინიშნებოდა, ტექსტის კომპოზიციური მთლიანობის თვის გარკვეული საფრთხე დაინიახა. თუმცა ერთმიშოვნელოვნად აღნიშნა, რომ მთლისი „თუთარჩელაში“ მხოლოდ რომანტიკული სამყაროს შექმნას არ ემსახურება, არამედ „მითოლოგიური წინასიტყვაობა მთელი რომანის მხატვრულ-აზრობრივი გასაღებია“. „თუთარჩელაშ“ მაშინ გეოთხევლი საზოგადოების სერიოზული კოროვანია და მისახორცი.

70-80-იანი წლების მიჯნაზე ინტერება უკვე გამოკვეთილი კრიტიკული აზროვნების გამოხატველი მოთხოვობები „ბარკლაი დე ტოლლის სიზმრები“, „წვეულება“, „ტელემაყურებელი“და სხვა, რომლებსაც მჩერლისთვის ჩვეული ირონიული ინტონაცია გასდევს. მათი პოეტიკა 20-იანი წლების ზოშჩენკოს მოთხოვობებს გვაგონებს, ყოველ შემთხვევაში, გარეგნული ინშებით მაინც. ზოშჩენკოს ზომბირებული პერსონაჟებისთვის, ფაქტობრივად, წართმეულია ყველა უფლება, სანაცვლოდ კი ცხოვრებისეულ წვრილმანში ქექვაა დატოვებული. ისინი ხალხის სახელით შექმნილ საბჭოთ-

„ჩამოვედი წერაქვში და პანტეონბა დავ-ინყეო“ — ასეთი ფრაზა მოგონებების წიგნში „ოცი წელი წერაქვში“ შემთხვევით ვერ გაჩნდებოდა. მწერალსა და მის პერსონაჟს შორის მართლაც არსებობს გარკვეული მსგავსება. ორივე ანტიმონბმარებელია. ამიტომაც შემქმნელ-ამღორძინებელგადამრჩენის ფუნქცია უკაისრიათ. მოთხოვბის კითხვისას კი ისეთი განცდა ჩნდება, თითქოს ავტორმა კიდევ რაღაც მნიშვნელოვანი იცის თავისი გმირის შესახებ. იცის ის, რისი გამხელაც ჯერ სარისკოა. სწორედ ამიტომ ამ ცოდნას მხატვრულ სამოსში ახვევს და დროსთან ტრაგიკული შეუსაბამობის პრობლემად წარმოგვიდგენს. დავით აღმაშენებლის ხელშენავლე-

რომსახვაში ამჯერად დროში იძულებითი გადანაცვლების გარეშე (ეს კი უკვე 80-იანი წლებია) გაჩნდა ბოლშევიკური რეჟიმის ღვიძლი შვილის, მისი სისხლი სისხლთაგანისა და ხორცი ხორცითაგანის, ვარლამ არავიძის შემზარავი მხატვრული სახე, მოულოდნელი და თანაც ზუსტი ტოტემური შესატყვისთ — „აფთარი“ (გალაკტიონთან: „ოჰ, ეს წელი გულს გლეჯდა, / როგორც მინას აფთარი, / გაზაფხული, ზაფხული, / შემოდგომა, ზამთარი...“).

ეს ჰერისონაჟი თავის თავში აერთიანებს როგორც ძალაუფლების უზურპაციის უმძიმეს ფორმას, როგორც ძალაუფლებით ვე მინიჭებულ თავგასულობასა და ცინიკურ სისასტიკეს, სრული სრულიალური ჰომოგენურის კონტექსტში სხვისი აზრის მიუღებლობით ადამიანში პიროვნული საწყისის ჩაკვლას, ასევე კლასიკური მედროვის მისწრაფების, როგორმე მიეკედლოს მომგებიან პოზიციებზე გამაგრებულ პოლიტიკურ დისკურსს, ცხადის, არა იდეალებისადმი ერთგულების, არამედ ძალაუფლებით აღძრული უპირატესობის, საზოგადოების მანიპულირებით მიღებული სადისტური სიამოვნების გამო. ვარლამ არავიძე, თუ გვარის ეტიმოლოგიიდან ამოვალთ, ისაა, ვინც არავინ იყო და ყველაფრად იქცა, ვისაც იმთავითვე დაეყყრდნო საბჭოთა რეჟიმი. ასეთ ფსევდოჩაგრულებისა და ფსევდოუფლებოებს, სინამდვილეში კი უტიფარ მონებს, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ ახალ ბატონად მოვლინების სურვილი ამოძრავებთ, უტყუარი გეშით პოულობდნენ და გვერდით იყენებდნენ. განსხვავებული აზრობრივი დატვირთვისა და კონტექსტის მქონე ბიბლიური წარმომავლობის ეს ციტატა კი („თუ ვინმეს უნდა პირველი იყოს, ის იყოს უკანასკენელი და ყველას მსახური“, მარკოზის სახარება, თავი 9), „ინტერნაციონალის“ ავტორის, ეკუნ პოტიეს, „კურთხევით“, ბოლშევიკებმა ნიშნის მოგების, ტოტალური სიცრუსისა და უსამართლობის დასამკვიდრებლად გამოყენეს.

რომანი ვარლამ არავიძის გარდაცვალებისა და დასაფლავება-ვერდასაფლავების კოლიზიებით იწყება, რომელზედაც შესაბამისად რეაგირებს „თეთრკუსტიუმიანთა“ მიერ მართული არავიძეთად ნოდებული მთელი რაიონი. იმ „თეთრკუსტიუმიანთა“, რომლებიც გოგისა და მაგოგის პარტიის უძლეველობას განასახიერებენ და რომელთა ბედს ყველა შენატრის. გოგი და მაგოგი აბრაამშული ესქატოლოგის მიხედვით ღვთიურ ქვეყანასთან მებრძოლი სატანური ნარმომავლობის ხალხია. მნერლის მიერ ამგვარად დეტერმინირებული ბოლშევიზმიც სწორედ ასეთ ძალად პოზიციონერობს. ჩეკისტთა, ანუ როგორც ტექსტშია, „დამჭირველთა“ უფროსობას — ივსიხი ნესტორის ქადაგი, გრიგოლოვას, ვარლამ არავიძის საგმირო საქმეთა უბადლო ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს, რიკაფელობებს და დოქსოცულოს — შორეულ ალუზიას რომ ქმნინა შექსპირის როზენკრანცსა და გილდენსტერნთან, „მაამებლობისა და გაქნილობის, სიმარდისა და ქვემდრომობის, გაშმაგებული მზაკვრობისა და ყველაფრისთვის მზაობის“ ამ ორ გენიასთონ — დიდად არც არავიძეთა ხელის ბიჭები დურო, ნოვე, დომენტი და მათი შეთანხმებული აზროვნების საფუძველი ხდება. რომანის არაერთ ეპიზოდში იგრძნობა „უამის ამ მპყრობელთა“, ერთი შეხედვით, მოჭარბებული პრაგმატიზმი, სინამდვილეში კი ელემენტიარული სიხარბე და ადამიანურ კომპლექსთა თავზარდამცემი ნაირგვარობა. მაგალითად, ტაძრის გადასარჩენად შეკრებილი პროფესურის ხალხის სახელით „დამზადების“ ან არავიძესთან შეხვედრით დათრგუნული მწერალ სანდრო ხალდანისა და მისი მეუღლის, იას, ნაბნავში ჩამალვის ეპიზოდები, როდესაც ჯერ ცოლ-ქმრის გადამრჩენი, ორიოდე წუთის შემდეგ კი რიკტაფელოვთან მათივე ჩამშვები გუთნისძედის სრული ლუსტრაცია ხდება: — რა გქვია, ბერიკაცო? — ამოძახა სანდროს თავმა მოუღლონ्हელად მიწიდან... ღვთისავარი... — უნბურად მიუგო ბერიკაცმა. — ღვთისა კი არა, ეშმაკისა ყოფილხარ! — დინჯად უთხრა სანდრომ“.

ଭାବାବାର୍ତ୍ତମଣ

„აფთრების“ შესახებ სამართლიანად ითქვა, რომ იგი პირქუში პროზის ნიმუშია. მართლაც, საბჭოეთის დასასრულის დასაწყისს დროს შექმნილა ეს წეორეალისტური რომანი მოკვეთილი, დეორნამენტიზმული სტილითა შესრულებული. მისი პაտონი აშკარად სცილდება შურისძიების, როგორც ტექსტის მთავარი იდეის ფარგლებს და ბნელი ძალების მიერ ორგანიზებული ქაოსის დეკონსტრუქციისკენ, ანუ ისევ და ისევ ამ ქაოსში ჰარმონიის შემოტანის, გნებავთ, ჰარმონიის აღღებისკენ სწრაფვას განასახიერებს. „აფთრები“ უფრო, სწორედ რომ, ბოროტების უკიდურესი დეტალიზებით (ეს სიპირქუშები სწორედ აქედანაა) გვიჩვენებს საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის არსებობის სრულშეუთავსებლობას ტოტალიტარიზმის წიაღში წარმოქმნილ ანგარიშების პრიმიტიულ, თუმცა უძმინეს ფორმებთან, რაც, ფაქტობრივად, თვით ცხოვრებისა და ანტიცხოვრების ძირების დირეულ, იდეაშიც კი შეუთანხმებელ განსხვავებასაც გულისხმობს. ამიტომაც მთავარი ამბავი — არავინის საფლავიდან მრავალგზის ამოთხრა, რომელსაც თვითონ მწერალი დოკუმენტურს უწოდებდა, თავსი ლოგიკური გაგრძელებით („წითელი ეშმისგან“ განირული ერთ-ერთი ოჯახის ნგრევა, ჯეგე ხალდანის ბედის გამრუდება, ვარლამის შვილიშვილის თორნიკეს, იგივე თანგულიას, თვითმკვლელობა), გამომცემლობა „ინტელექტუს“ 2013 წლის „აფთრების“ ორტომეულში გაშლილი, მხატვრულად ეფექტური, მორალურად კი გამართლებული აღმოჩნდა.

ნონა კუპრეიშვილი

ଭାବନାରୁଗୁଣ ତାରମରଣିରୁ ପିବାଶ



ნების ნინაალმდეგ ერთ-ერთი სცენარის ტის მიერ ორ სხვადასხვა ინსტანციაში გაგზავნილი ოფიციალური მიმართვებით სელი შეეძლათ „აფთრების“ გამოქვეყნებისთვის. სწორედ მაშინ ეწოდა ნოდარ წულებისკირს „მადაგასხნილი სცენარის ტი“.

სხვათა შორის, მოულოდნელობები არ რომანს შემდეგაც თან სდევდა. 1987-88 წლებში ურნალებში „დროშასა“ და „ცისა კარში“ გამოძევუნებული ცალეული მონაცემების პუბლიკაციის შემდეგ, როცა დამოუკიდებლობის სამუშავდა ასე თუ ისე გადაგვიარეს და ბევრმა არც კი იცოდა, ფიზიკურად გადარჩი ნოდარ წულეისკირზე თუ არა, „აფთორების“ პირველ გამოცემას ითავებს პარტიული ხელმძღვანელიდან პრეზიდენტად გარდასახული ედუარდ შევარდნაძის ფონდი. თავად შევარდნაძე მოგვიანებით ვერტმფორენით მწერალს წერაქვშიც ჩააკითხავს (დაჯდომისას იგი სოფლის ერთ-ერთ მაცხოვრებელს ყანას გვარიანად დაუზიანებს). ნოდარ წულეისკირზე კი, რომელიც მაშინ იქაური საშუალო სკოლის დირექტორი იყო, მოსწავლეების სა და სკოლისთვის განკუთვნილ სხვადასხვა საჭიროებასთან ერთად, საპატიონ სტუმრისგან საჩქერად გიშმაჟ ცხენს, სახელიად ბენუამენს, მიიღებს, რომელიც ისე დაც შეჭირვებულ წერაქველებს ახალ ზრუნავს გაუქრის.

რომანსა და სცენარზე მუშაობა ერთხელ ასეს, ფაქტობრივად, პარალელურად მიმდინარეობდა და, ბუნებრივია, ის განსხვავა ვებები, რომლებმაც მათ შორის თავი იჩინა, უპირატესად ლიტერატურული ტექსტის შინაგან ლოგიკასა და თავისთავად სპეციფიკურ კინოენას შორის არსებულ სხვადასხვაობით აიხსნება. მაგალითად ასეთ სახეცვლილებას განიცდიდა რომანის სათაურის პოეტიკა: „ეშმაკის კერძი“, „აფთარი“, „აფთრება“, რაც, ბუნებრივია მხატვრული ამოცანის გაფართოებასა და დახვეწასთან იყონ დაკავშირებული. ფილმში ეს აღარ დასჭირვებია; იქ სხვა სიმბოლოები გამოიკვეთა. მაგალითად, ვარლამიძის გზა და ტაძარი, პოსტსაბჭოურობის ეროვნული დაუძლეველი ტოპოსი, ერთი მხრივ სიბრძლისგან თავის დაუღწევლობისა და მეორე მხრივ, ნათელი, უბოლშევიზმო მომავლის მატერიალიზებული სახეები. რომ არაფერი ვთქვათ ფილმის სახელწოდებაზე — „მონანიება“, რომელიც ლამის მთელი საბჭოთა ხალხის ცოდვათაგან განმეოდის რიტუალიზებულ მოწოდებად გაისმა. რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი მთავარი შურისმაძიებელი, ჯეგე ხალდანი ფილმში სანდრო და ნინო ბარათელების

ქალიშვილად გადაიქცა; შესაბამისად, შემო დგომში ტყეში გაჭრილ და ათასგარ ხი ფათს გადაყრილ ხალდას — დაქალებული და ერთგვარ პერფექციონისტად ჩამოყალიბებული ქეთი ბარათელი ჩაენაცვლა თუმცა ორივეგან ისინი ერთნაირი შემართებით გაიძახიან: „უეჭველად ამორთხრივ ვარლამ არავიძეს მინშეი არ გავაჩერებ!“ არის ასეთი ნიუანსიც: სანდრო ხალდან მნერალია, სანდრო ბარათელი კი მხედარი, რაც არსებით განსხვავებად უერთდება, თუმცა იამზე კი მიგვანიშნებს რომ რომანისტმა ასახვის ობიექტად მისა თვის უფრო ნაცნობი გარემო აირჩია.

ისტებთან” თანაბრძოლობდა დღესა აღქვეშული. ამას მოჰყვა საკუთარ ქვეყანაში დევნი ილობა მთელი თავისი ანტურაჟით. „თან დათანობით მოკვდა ჩემში მწერალი, ცოცხლობდა პანტე (ისევ პანტე! — ნ.კ.). საკმაოდ მძიმე ფიზიკური შრომით და წვალებით ვარსებობდი ერთი ვინმე ესქორია აქმნილი, ნალალატარი კაცი...“ — ესე მოგონებების წიგნიდანაა.

როგორც ითქავა, ტექსტის შექმნა არ ყოფილა თანმიმდევრული პროცესი, რაც სულ ცოტა თხრობის რიტმის ვიბრირებით

ზოგიერთ მხატვრულ სახეთა გაფერმკრთალებით და პუბლიკაციებს შორის არსებული დიდი მუსალებრივი აღინიშნა. თუ 1995 წლის პუბლიკაცია აფთოის მოულოდნელი გამოჩენით, მის მიერ ყორნის ხევში „ხალხის მტრების“ (მათ შორის სანდორ ხალდანის) საერთო საფლავის შეურაცხყოფითა და ია ხალდანის თვითმკვლელობის მცდელობით სრულდება, „ინტელექტუალული“ ორგონიულის პირველ წიგნს მოსდევს მეორეც, რომელშიც გადმოდის შვილიშვილთან დაკავშირებული ვარლამ არავიძის, მასთან კი მისი ვაჟის, აბელ-აბია არავიძის, მორალური სასჯელის კულმინაციური ეპიზოდი. ამას კი ფონად ჯეგე ხალდანის ანენილი ცხოვრების პერიპეტიიები გასდევს. სხვათა შორის, ასაკოვან მწერალს რომანის დასრულებაში, როგორც თვითონ ამბობს, მის თანამოაზრედ ჩამოყალიბებული შვილიშვილი, თათია შენგელაია, დაეხმარა. ესეც ნოდარ წულების კრისტიანის რთული შემოქმედებითი ბედის ერთ-ერთი გამოვლინებაა. „აფთოების“ ტექსტის გაცნობა იმთავითვე სერიოზული მკითხველის ინტერესთან ერთად არავანსაღი ცნობისამყვარების სახესაც იძენდა და ახლაც იძენს. ამის მიზეზი, შესაძლოა, ზოგადად ანტისაბჭოური ლიტერატურის გადაფასების ჯერ კიდევ ბოლომდე შეუმდგარი ფაქტი იყოს. თუმცა დავით წერედიანს ამასთან დაკავშირებით საკუთარი პარამეტრები, როგორც ყოველთვის, ნათლად და ზუსტად აქვს გამოკვეთილი: „საბჭოურ ლიტერატურასთან ერთად ანტისაბჭოურმაც დაკარგა მნიშვნელობა. რაც ორივე მხრიდან კარგი გადარჩა — არადა, გადარჩა — ის, რაც ხელახალი ანონ-დანონის შემდეგ, საბოლოო ჯამში, არც საბჭოთა გამოყენა, არც ანტისაბჭოთა. რამდენიმე რომანი, გახიზული თუ გაუხიზავი პოეტების საუკეთესო ლექსიბი... და კიდევ ცოტა რამ არამხატვრულიდან“. და, რა თქმა უნდა, მუშაობს 1987 წლის კანის ფისტივალის გრან-პრის მფლობელი თენებიზ აბულაძის „მონანიების“ ფაქტორიც, რომელთანაც რომანის შედარების სურვილი მუდმივად წეროა.

ରାତ୍ର ଶୁନ୍ଦା ଗାକେତେବୁଲୀପୁର ରମହାନିଲ
ଓବୁଲାଦୟକ୍ଷେତ୍ରାଲ୍ଲି ମିଶ୍ରରଳିଲ୍ ତାଵଦାପିନିର୍ବେ-
ଲ୍ଲି ରିବାତ୍ଫିର୍ଜିର୍କିସ କିନ୍ଦରୂନ୍ଦ ଗାଦାକ୍ଷେତ୍ରିକି-
ତାଙ୍କିସ (ରିଜିକ ଆଥିରିଟ କ୍ର, ରେଜିସିଲରିମ୍ ଏସ ପ୍ରେର୍ବି-
ତ୍ରିଗ୍ରା ସର୍ବଲାଦ ଗାତରାଲିସନ୍ତିନା), ରମହାନିଲ
ମିତାଵାରି ସିଉୟେତ୍ରୁରି ବାଢି, ରମହେଲିପ୍ ଅଗ୍ର-
ଦୁଲ୍ଲିନୀ ବାରଳାମ ଅରାଵିନ୍ଦିନ ସାଫ୍ଟଲାବିଦନ ଅ-
ମିତରାଶା ଦା ଅଥ ତାଙ୍କିଲିସାରାଦ ଶେର୍ମିରାବି ଗା-
ଧାନ୍ୟପ୍ରେତିଲ୍ଲେବିଲ୍ ମିଠ୍ଯେଥ୍-ଶୈଫେଗନ୍ଦରିନ୍ଦାଥୀ,
ରମହେଲିତାଗାନ ପ୍ରେର୍ବିଲାଥୀ ତ୍ରିରାଗିପୁଲ୍ଲ ଶ୍ଵିଲ-
ିଶ୍ଵିଲିଲ୍, ତାମନ୍ଦିକ୍ରେ ଅରାଵିନ୍ଦିନ, ତାପିତମକ୍ଷପଣ-

ლიტერატურული გაზეთი

ლობაა, უკვე წარმოადგენს თვითემარ მხატვრულ ღირებულებას, ერთგვარ უნივერსალურ პროექციას ერთადროულად წარსულსა და მომავალში, განზოგადებას იმისა, რაც გადაგვხდა. არც ამ ამბის შემთხვევლის (ისევე, როგორც რეჟისორის) გამძლდაბა უგულებელსაყოფა. სულ რომ არაფერი, ნოდარ წულების კირა მხოლოდ იდეის აფრიკულ რომ ყოფილიყო, სადაც მაშინაც არაფერი უნდა გამზდარიყო (არადა გახდა და თანაც საკმაოდ ტლანქ ფორმებში). შეგვიძლია, გავიხსენოთ ახლახან, 2021 წელს, კანის კინოფესტივალზე „მონანიების“ კლასიკის სექციაში ჩვენებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი სცენარისტის კომენტარები. განაცოტა გვინახავს ფილმი, რომლის ტიტრებში სწორედ ასეთი აქტივობებია აღნიშნული. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არც საბჭოთა და ჯერჯერობით არც ჩვენი, პოსტსაბჭოთა ქვეყნის პრეტენზა არ არს.


და ბოლოს, დავუბრუნდეთ ისევ არწევანის პრობლემას. იგი საკმაოდ ნათლად გამოხატაც ცნობილმა ლიტერატურა და დისიდენტმა, პოეტმა და მთარგმნელმა, ლიტვის პესინის ჯვუფის ერთ-ერთიმა თანადამფუძნებელმა, თომას ვენცლოვამ. წაციონალური ეგოზმი და სინდის — აი, სად უნდა გაიღოლოს, ვენცლოვას აზრით, შემოქმედისთვის წითელი ხაზი. თანაც, ეს შეუთავსებლობა პრინციპულია, რადგან არჩევანი არა პირველის, არამედ მეორის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს. ცხადია, აღმოსავლეთ-დასავლეთ ევროპის მიჯნაზე („Погранчице“ — სწორედ ასე ჰქვა 2015 წელს გამოცემულ ვენცლოვას წერილებისა და ესეების კრებულს) დაბატბულ და მუდმივად ევროპის კონტინენტის სიორგეში მაცეკრალ პოეტს, ორ ნობელიანტ მეგობართან, ჩესლავ მილოშთან და იოსიფ ბროდსკისთან, მულტიკულტურული დიალოგბის უპირატესობაში ყოველდღიურობა არწმუნებდა. ის, ვინც გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოკეთილი ანტისაბჭოელი, დისიდენტი და ადამიანის უფლებათა დამცველი იყო, მივიდა იქ, სადაც ჭეშმარიტი ევროპელი უნდა მისულიყო — „კერძო პირის“ პოზიციამდე. „კერძო პირს“ კი აქვს უფლება, განაცხადოს: წაციონალურ ეგოზმშა და სინდის მორის მე სინდისა ავირჩევდიო. ამიტომაც ვენცლოვას ერთნი საბჭოთა სოციურმარქიზმი წარმოქმნილ ინდივიდუალისტთა თაობას მიაკუთხნებენ, მეორენი კი მარტივად „არასწორ ლეგელს“ უწოდებენ. მსგაცის კონფიგურაცია ჩვენთანაც გამოვეთა, თუმცა დიფერენცირებია პრინციპი აღმოჩნდა საკონცენტრირების შემთხვევაში: შავი და თეთრი. ჩვენი დისიდენტები ლეტციების წასაკითხად ბერკლისა და იელის უზივერსიტეტებში არ მიუწვევიათ, მედიტაციისათვის მათ, სამწუხაროდ, არც ევროპის ულამაზეს ქალაქებში გასერინების საშუალება ჰქონიათ. ყველაფრის სანაცვლოდ მიღებს სასტიკი ფიზიკური და სულიერი ანგარიშსწორება, რომელმაც გაანადგურა ან ანენა მათი პირადი და შემოქმედებით ცხოვრება.

„დღეს გაჩუმება ყველაზე კარგი ინტერვიუა“, „ადრე, მნერალი რომ ვიყავიო“, „ჩემში მრავალი მკვდრადმობილი პერსონაჟია, ჩემი დაუზერელი მოთხოვების გმირებიო“ — ასე ამბობდა წერაქეის მძიმე ყოფას შეჭიდებული წოდარ წულების კირი. ეს არ არის უწყინარი აზრები. ეს დიდი უსამართლობის მანიფესტირება, რადგან სინამდვილეში მნერლად დაბატბული კაცის განხიბელას, სიტყვის ძალმოსილებაში მის დაეჭვებას ასახავს. ვითომ ყველაფრი „გეოგრაფიის ტირანიას“ გადავაბრალოთ?! (ეს ტერმინი სახელდახელოდ შევქმენი აგსტრალიელი ისტორიკოსის, ჯეფრი ბლეინის, „სიმორის ტირანიის“ ანალოგით. ამ წიგნში, რომელიც 1966 წლითა დათარიღებული, ევროპის ცენტრიდან აგსტრალიელთა სიშორის დისკომფორტზეა საუბარი — ნ. კ.). ნოდარ წულებისკირს, როგორც ვიცით, სიცოცხლის ბოლო წლებში, სამწუხაროდ, არა ვენცლოვასეულ, არმედ სულ სხვა საზღვარზე, სულ სხვა მიჯნაზე დგომა ერგო. ამასთან, თავი ბლეინისეული არგუმენტითაც არ უმარტილებია. მეტიც, მიუხედვად ნანახისა და განცდილისა, მაშინ ბოლომდე ცოცხლობდა მწერალი. ოლონდ ესაა, თავისი ქვეყანა ერთხელ რომ „დოლაბის ქვეშ დაებულ მარცვალს“ მიამსგავსა, ბოლომდე ასე ხედავდა და მოსვენებაც ამის გამო დაკარგა. ადგილი არ არის, გქონდეს სამშობლო, რომელიც სხვისი დახმარებით და არანაკლებ საკუთარი ძალისხმევითაც ყოველწამიერად იქმნის, როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, ეგზისტენციალურ საფრთხეს, შენ კი მშვიდად იყო.

...ნოდარ წულებისკირის საფლავი სოფელ წერაქეში მიხელ ჯავახშვილის სახლ-მუზეუმთან ახლოსაა, აქედან არც სახელმწიფო სასაზღვრო ზოლია შორის. თვითონ ასე მოისურვად დამით, ვფიქრობ, აღასრულა კიდევ ერთი დაუნერელი კანონი — მწერლის ცხოვრების დასასრული კარგი მოთხოვების ფინანს უნდა ჰგავდეს.



თრპან ველი (1914-1950) მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თურქი პოეტია. 1940 წელს ორ მეგობართან, ოქთაი რიფათთან და მელის ჯევდეთთან, ერთად შექმნა მიმდინარეობა Garip (უცხო, უცხაური, ყარიბი), რომლის მთავარი მიზანი იყო თურქული პოეზიის გათანამედროვება, ტრადიციულ ფორმებზე უარის თქმა და პოეზიაში ადამიანების ყოველდღიური ყოფის წარმოჩენა. მიმდინარეობის ნევრებმა თურქულ პოეზიაში შემოიტანება ვერლიბრის ფორმა, უბრალო — სალაპარაკო ლექსიკა, შეცვალეს ლექსის შინაარსიც და მის გმირებად თითქოს არაფრით გამორჩეული, რიგითი და მშრომელი ადამიანები აქციებს. ორპან ველის პოეზიას შეიძლება უწოდოთ პოეტური ენით მოყოლილი ემოცია ან ლექსის ფორმაში მოცემული კინოკადრი.



თრპან ველი

როგოროც კრუზი

ბებია ჩემი საყვარელი მეგობარი ბავშვობისა იმ დღიდან გახდა, როცა ერთად დავიწყეთ ფიქრი, უკაცრიელი კუნძულიდან რობინზონი როგორ დაგვეხსნა, როცა ერთად ვტიროდით ბედზე, გოლიათების ქვეყანაში რომ ხედა გულივერს.

კვირა სალამოები

აღარაფერი მაპარია, მაგრამ ვალებს რომ გავისტუმრებ, ერთ ხელ სამოსს შევიძენ, ალბათ. შენ, შეიძლება, კვლავ არ გიყვარდე. მაგრამ ასე გამოწყობილი რომ ჩამოვივლი თქვენს უბანში კვირა საღამოს, ნუთუ გონია, მეყვარები ისე, როგორც ახლა მიყვარსარ?

სიზარი

სიზმარში ვნახე, დედაჩემი გარდაიცვალა. გამომედვიდა ტირილით და გამახსენდა ერთი დილა დღესასწაულის, როცა გაფრენილ ბუშტს შევტიროდ.

აი, ეს არის სწორები ცხოვრები

ამ სახლში იყო ხუჭუჭა ძალლი; ჩინჩინი ერქვა, მოკვდა საბრალო. აქ კატაც იყო, ლურჯოვალება, დაიგირგა ერთ დღეს უკვალი. გათხოვდა, გოგო რომ ცხოვრობდა. მიქმა უკვე დამთავრა სასავალებელი. მსგავს ტებილი და მნარე ამბავი, მრავალი მოხდა ერთ წელინაში. ხდებოდა, მოხდა, მოხდება და გვემახსოვრება... აი, ეს არის სწორები ცხოვრება!

ვარილები რეთაის

I
ანგარა. 10.12.37. 21:00 საათი. ზამთარი, ყინვა-ყიმეთი. ამ პირველ წერილს გნერ უნგრებული საბრალოში სასაზღვრო ზოლია, შორის. თვითონ ასე მოისურვად დამით, ვფიქრობ, აღასრულა კიდევ ერთი დაუნერელი კანონი — მწერლის ცხოვრების დასასრული კარგი მოთხოვების ფინანს უნდა ჰგავდეს.

II
ანგარა. 12.12.37. 14:30 საათი. გარეთ წვიმის ახლა და ღრუბლების გნერ უნგრებული სასაზღვრო ზოლია, შორის. თვითონ ასე მოისურვად დამით, ვფიქრობ, აღასრული ცხოვრების დასასრული კარგი მოთხოვების ფინანს უნდა ჰგავდეს.

III

ანგარა. 1.1.38. 10:00 საათი. სამსახურს ვეძებ ერთი თვეა უკვე, ჯიბეგამოფხევილი. არც თავს მახურავს, არც ანთ მაცვია. და ენებ აღარც დავლოდებოდი დღეს, ხალხისთვის როცა მოვკვდები.


ის ადამიანები

მიყვარს ის ადამიანები! ო, როგორ მიყვარს აა, ისინი, გაფრენადებულ და გაცრეცილ ეტიკეტების სამყაროში ქათმებს, კურდილებებს და ძალებს შორის მცხოვრებ რომ ჰგვანან.

III
ჰერი არ ეტყვით, კანფეტს გიყიდით, სიმის გიყიდით, მამალოებსაც; კარუსელებზეც დაგსვამთ, ყვავები, თქვენ მოგცემთ, რაც კი ბურთები მაქვს. ოღონდ, ყვავებო, გვედრებით, დედა გულივერს ნუ ეტყვით!

გადასახლება

I
მისი ფანჯრიდან, სახურავებს რომ გაპურებდა, ნავსადგური ჩანდა და მთელ დღეს გაუთავებლად ეკლესიის ზარები რეკლემების მატარებლის სხმა ჩაესმოდა ლამილამბით საწოლში ზოგჯერ. და კიდევ გოგო შეუყვარდა, მოპირდაპირე სახლში მცხოვრები. თუმცა მან მანც მიატოვა ეს ქალაქი და გადასახლდა.



ორჟან ველი

ეპიტოპია

I
არ აწებდა არაფერი ამქვეყნად ისე,
როგორც კოშურები;
ის კი არადა, საკუთარი სიმახინჯეც
არ ადარდებდა;
ღმერთის სახელსაც ასხენებდა მხოლოდ მაშინ,
ფეხსაცმელი როცა უჭერდა,
ცოდვილადაც არ ჩაითვლება.
გული დამწყდა სულეიმან ეფენდის გამო.

II
მისოვის შეკითხვა,
To be or not to be არ არსებობდა;
ერთ სადამოსაც დაიძინა;
ვერ გაიღვიძა.
აიყვანეს და წაასვენეს.

განპანეს, მერე შეუსრულეს ნამაზი და დაასაფლავეს.
როცა მის სიკვდილს შეიტყობენ მევალები,
ალალი იყოს, უსათუოდ ასე იქცევიან.
რაც შეეხება მის ვალს...
არავის არ ემართა ცხონებულისა.

III
მისი შაშხანა შეინახეს საწყობში, ხოლო
ტანსაცმელი სხეას გაუბოძეს;
ახლა აღარც მის აბგაშია პურის ნამცეცი,
არც მათარაზე ნაკვალევა მისი ტუჩების;
ისეთმა ქართა დაუტერა,
ყველაფერი თან წარიტანა,
მისი სახელიც არ შემორჩა ხსოვნას აღარსად.
მხოლოდდამხოლოდ მისი ხელით მიწერილი
ეს ბეითი ყავახანაში:
„სიკვდილი არის ალაპის ნება,
განშორება რომ არ არსებობდეს“.

სხვა რამას ვდარდო

არ იფიქრო, რომ მზის გამო ვდარდობ;
მერე რა მოხდა, თუ გაზაფხულდა?
თუეუ ნუში აყვავებულა?
ამითი განა ვინ მომევდარა.
კეთილი, თუნდაც ეგრე იყოს,
განა სიკვდილის შემეშინდება,
მზესთან ერთად რომელიც მოდის,
ყოველ აპრილს ხომ მე ერთი წლით ახალგაზრდა ვარ,
ყოველ გაზაფხულს ცოტა მეტად შეყვარებული;
შიშმა შემიპყრო?
არა, ძმობილო, სხვა რამეს ვდარდო...

?
პორტის წარმოთქმა
რად მახსენებს ანძებს,
ხოლო ზღვის სხენება, გაშლილ იალქნებს?

რად მახსენდება მარტზე კატა,
უფლებებზე — მუშა,
მოხუც მენისქვილეს
ბრმად რად სწამს ღმერთის?

და ქარიანი ამინდი თუა
რად წეიმს ირიბად?

ომში მიმავალი

ომში მიმავალო ქერა ბაგშო!
დაბრუნდი ისევ ლამაზი;
შენს ბაგებზე ზღვის სუნით,
შენს წამნამებზე მარილით;
ომში მიმავალო ქერა ბაგშო!

გათვეგამდე...

პოეტებს უფრო ვერ გავუძლებ, ვიდრე საყვარლებს;
მათგან რა ტანჯვა არ შემხვედრია?

განა ამგვარად შეიძლება, ერთი სტრიქონის
სიახლოვეში გაატარო ლამე დილამდე?

ყური მიუგდე, გესმის სიმღერა
სახურავებზე საკვამურების
ან იმ გუნდის ჭიანჭველათა,
ხორბლის მარცელებს რომ ზიდავენ
თავის ბუდეში?

განა ამგვარად შეიძლება,
არ დაველოდო მზის ამოსვლას,
რომ კართან მოსულ მენაგვეებს
ზღვის ნაპირისენ არ გავატანი
რითმა, ერთხელ უკვე ნახმარი?

ეშმაკი ჩუმად ჩამჩრეულებს: „გამოადე შენი ფანჯარა;
იყვირე, მიდი; არ გაჩუმდე გათენებამდე“.

სტამპოლისათვის

აპრილი

შეუძლებელი არის
წერო ლექსი,
თუ ხარ შეყვარებული;
და არ დაწერო
აპრილის თვეში.

სურვილები და მოგონებები

სურვილი სხვაა,
მოგონება სხვა.
ამგვარად როგორ უნდა იცხოვორ
ქალაქში, სადაც მზე არ ამოდის?

მწერები

არ იფიქრო,
მხოლოდ ისურვე!
მწერებიც ასე იქცევიან, აბა, შეხედე.

მოპატიუება

გელი,
იმდაგვარ ამინდში მოდი,
რომ უარის თქმა იყოს უკვე
შეუძლებელი.

სიყვარული შემოყვარა?

ნუთუ ამგვარი ფიქრი უნდა შემომჯარვოდა
და უძილობა შემომჩეოდა.
ასე მდუმარე, უტყვია უნდა გამმხდარიყავი?
ჩემს უსაყვარლეს სალათზეც კი
უარი მეტქა?
მეც ასე უნდა ვყოფილყავი?

ჩემი გამეგო

ჩემი ანბანის წიგნის ფურცლებზე
ჩემი გემები, იალქნიანი ჩემი გემები.
კანიბალების ქვეყნისაკენ ნელა მიღიან
აქეთ-იქით გადაწოლი;
ჩემი გემები, დახატული ფერადი ფანქრით;
ანბაზე წითელალმიანი ჩემი გემები;
ანბანის წიგნში
ქალწულის კოშკი,
ჩემი გემები.

კარგი ავინდები

დამდუცეს კარგმა ამინდებმა,
ასეთ ამინდში მივატოვე სამსახური
ვაკუფების სამმართველოში.
ასეთ ამინდში მივეჩვიე თუთუნის წევას.
ასეთ ამინდში შემიყვარდა;
ასეთ ამინდში დამავწენდა,
რომ მეყიდე სახლისათვის პური, მარილი;
ლექსის წერის ავადმყოფობაც
ასეთ ამინდში მახსენებს თავს;
ასეთმა კარგმა ამინდებმა გამანადგურეს.

ყირამალა

ისრით დაჭრილი ჩემი გული
ფეხსაცმელების მნენდავის ყუთში;

ჩემი მტრედი ვაფლის ჭიქაში;

საყვარელი ნავის კიჩოზე;

ნახევრად თევზი,

ნახევრად კი ადამიანი;

რა ვარ?

კაცი ვარ?

თუ ეშმაკი ვარ?

ვერ ავხსენი

Moro Romantico

მე რომ ვიტირო, ჩემს ლექსებში

ჩემს ხმას გაიგებთ;

შეძლებთ, ჩემს ცრემლებს რომ შეეხოთ

თვენი ხელებით;

ვიდრე ეს დარდი შემხვდებოდა, არ ვიცოდი,

სიმღერები მშვენიერია,

სიტყვები კი უუნარონი.

მე ვიცი, ერთი ადგილია:

იქ ყველაფრის თქმა შეიძლება;

ვგრძნობ, უკვე ძალზე ახლოს ვარ მასთან;

მაგრამ ვერ ავხსნი.

შინდი

ნელს გამოისხა პირველად,

შინდი,

სამი ნაყოფი;

მომავალ ნელს ხუთს გამოისხამს;

მთელი ცხოვრება ჯერ ნინაა,

დაველოდოთ;

რადა მოხდება?

დალოცვილო ხეო შინდისა!

ვესტივალი

პურის ბარათი აღებულია
და ქანანბერზეც განცხადება შევსებულია,

აღარ იფიქრო უფულობაზე;

აღარ იფიქრო სახლზე, ჯერ რომ ვერ ააშენე,

ჩაეჭიდე ცხოვრებას მაგრად;

ხვალინდელი აღას მიანდე;

ბედოვლათო გულო ჩემო, ცოტაც გაძელი!

ყასიდა

ხელში ბურსული სატევარი,

ყელზე ყირმიზი ყელსაცვევი;

შეღამებამდე ნარგიზების მინდორში ხარ
და ჯოხებსა თლი.

გეთაყვანები,

შენ ჭურში ზიხარ.

ვეაღვიანებო

წერილს რომ მივიღებ, ვნალვლიანობ;

რაქის რომ დავლევ, ვნალვლიანობ;

გზას გავუდები, ვნალვლიანობ.

არ ვიცა, ეს რითი დამთავრდება.

„ქაზიმის ამბავს“ რომ მღერიან

უსქუდარმი,

ვნალვლიანობ.

გაზორვა

სარკეში სხვაგვარად ლამაზი ხარ,

სანოლში სხვაგვარად ლამაზი;

ყურს ნუ დაუგდებ, თუ გაგჭორავენ.

კოხტად გამოენებე,

სახე მოიხატე,